

619
1979


ეროვნული
ბიბლიოთეკა



საქართველო

თავისუფალი
№ 2 1979 წ.

1979



4
მანტი
სსსს
რედაქციის
სამუშაო
ანგარიშების
ძეგლი



სამუშაოს ანგარიშები!



სურათზე: მწყემსის დღის ზეიმზე. არსენ კობაიძე (შუაში) 1978 წ.

კოპუნარის უპილი

● ზემო ქედის ცენტრში აღმართულია ობელისკი იმ 800 მამაცი პატრიოტის ხსოვნის პატივსაცემად, რომლებმაც გმირული სიკვდილით უკვდავება მოიპოვეს სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ობელისკთან ყოველთვის ნახავთ ცოცხალ ყვავილებს და დაფნის გვირგვინებს.

იმ გმირთა შორის, რომელთა სახელებიც ოქროს ახლებით არის ამოტვიფრული მარმარილოზე, ოთხგზის არის ნახსენები კობაიძის გვარი. ისინი ამ სოფლის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის არსენ კობაიძის ძმები არიან.

ტრაქტორისტი შალვა კობაიძე კავკასიონის მისადგომებთან იბრძოდა, ავტომანქანის მძღოლი ვანო კობაიძე ქერჩში ომობდა, მონაგარიზე სანდრო კობაიძე — გროზნოს რაიონში ერეკნებოლა მტერს, უფროსი ძმა ნიკოლოზ კობაიძე მანქანა-ტრაქტორთა სადგურის პოლიტგანყოფილების მუშაკი — ორგანიზაციისთან მუშაობდა ფაშისტებს. კობაიძეების ოჯახში სამამულო ომის ფრონტიდან შინ მხოლოდ უმცროსი ძმა არსენი დაბრუნდა. იგი ჯარში ჯერ კიდევ დიდ სამამულო ომამდე გაიწვიეს და პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღო იაპონელ სამურაებთან ბრძოლაში ხალხინ-გოლზე, სადაც სატანკო ეკიპაჟს მეთაურობდა, მერე გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ იბრძოდა. რამდენიმე წლის შემდეგ კი ციმბირში გაგზავნეს, სადაც სატანკო ბრძოლის ტექნიკას ასწავლიდა მომავალ მებრძოლებს.

არსენისათვის დიდი უბედურება იყო მშების დაღუპვა, მაგრამ სიცოცხლე ხომ გრძელდება, ფიქრობდა იგი. მათი ნათელი ხსოვნის ღირსი რომ ვიყო, უნდა ვიშრომო, ვიშრომო ჩემს მაგივრადაც და მათ მაგივრადაც.

აი, ეს რწმენა დაეხმარა, იგი ამაგრებდა ქირში, ეს რწმენა აცოცხლებდა და გაუზინდელი მეომარი მთელი მგზნებარებით შეუდგა მშვიდობიან შრომას.

□

კობაიძეების ოჯახი სოფელში მართო იმით კი არ იყო ცნობილი, რომ ასეთი დიდი წვლილი შემატა მტერზე გამარჯვების საქმეს. ამ ოჯახის მთელი ისტორია განუყოფელია არის დაკავშირებული საქართველოში საკოლმეურნეო წყობილების დამკვიდრებასთან.

არსენ კობაიძე კომუნარის შვილია. მამამისი ალექსი და უფროსი ძმა ნიკოლოზი ზემოქედელთა შორის პირველნი მიჰყვნენ ძველ კომუნისტს, კახეთში საბჭოთა ხელისუფლებისა და საკოლმეურნეო წყობილების მშენებელს კობა ჩოხელს, რომელმაც შირაქის ველზე ქედის სასოფლო-სამეურნეო კომუნა დაარსა.

— რამდენიმე კავი და ათიოდე კაცი, — იხსენებს არსენ კობაიძე, — ასეთი იყო კომუნის მთელი „ტექნიკური არსენალი“. თანაც მაშინ გვალვინაგან გამოშრალი მიწები გვექონდა. შორიდან გვიხსენებოდა სახელი წყლის თრევაც. გვიჭირდა, მაგრამ გვწამდა ჩვენი საქმის სიმართლის. აკი ამიტომაც გაიმარჯვა კომუნამ.

სახელმწიფოს მიერ გამოგზავნილი პირველი ტრაქტორი „ფორძონი“ არსენის ძმამ შალვა კობაიძემ გაიყვანა მინდორში, მან გაავლო პირველი კვალი შირაქის ნოყიერ მიწაზე.

ღარიბ ოჯახს არ ჰქონდა სახსრები, რომ არსენისათვის სწავლა მიეღებინებინა. ყმაწვილობისას კულაკის პირუტყვის მწყემსავდა. კომუნამ იგი სასწავლებლად გაგზავნა. გამარჯვებულმა და ნიჭიერმა ჭაბუკმა წარმატებით დაამთავრა სკოლა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, მასწავლებელი გახდა. წითელწყაროს რაიონის ახალგაზრდობამ დიდი ნდობა გამოუცხადა და კომკავშირის რაიკომის მდივნად აირჩია. ფრონტზე კი კომუნისტი გახდა.

ომიანობისა და ომის შემდგომ ძნელებლობის წლებში კობა ჩოხელი სათავეში ედგა კოლმეურნეობას. მიუხედავად იმისა, რომ მეურნეობა ქალების ამარა დარჩა, მისი მეთაურობით მაინც წარმატებით ასრულებდა სახელმწიფოს ყველა დავალებას და აქტიურად ეხმარებოდა ფრონტს. კოლმეურნეობა ერთ მილიონამდე მანეთი ფული შეაგროვეს სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის“ მშენებლობისათვის. ფრონტს უგზავნიდნენ პურს, ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, თბილ წინდებს... მაგრამ ქვეყანა მტეს მოითხოვდა. ზემო ქედის არტელის ფულადი შემოსავალი მაშინ 400 ათას მანეთს არ აღემატებოდა, ხორბლის მოსავალი კი სულ 8—10 ცენტნერს შეადგენდა ჰექტარზე. კოლმეურნეობას მუშახელი აკლდა, სულ სამი ტრაქტორი და ერთი სატვირთო ავტომანქანა ჰქონდა. ომის შემდგომ ხელახლა დაიწყო კოლმეურნეობამ მომძლავრება.

1948 წლის ერთ დღეს ზემოქედელთა ბერძუხამ კობა ჩოხელმა განაცხადა: — მე მოვხუცდი, სოფელს ახალი ხელმძღვანელი ესაჭიროება. და აი მაშინ ძველმა თავმჯდომარემ წინადადება წამოაყენა კოლმეურნეობის თავკაცად არსენ კობაიძე აერჩიათ, რომელიც იმხანად სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა. იგი ღირსეულად გაუძღვება საქმეს. ახე განაგრძო არსენმა რევოლუციურ თაობათა ესტაფეტა.

1948 წლის ერთ დღეს ზემოქედელთა ბერძუხამ კობა ჩოხელმა განაცხადა:

— მე მოვხუცდი, სოფელს ახალი ხელმძღვანელი ესაჭიროება.

და აი მაშინ ძველმა თავმჯდომარემ წინადადება წამოაყენა კოლმეურნეობის თავკაცად არსენ კობაიძე აერჩიათ, რომელიც იმხანად სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა. იგი ღირსეულად გაუძღვება საქმეს. ახე განაგრძო არსენმა რევოლუციურ თაობათა ესტაფეტა.

დიდება

საბჭოთა

კავშირის

უნიარაღებულ

კალას!

მთავარი რედაქტორი რედაქციის მარგინი

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე,	დინარა ნოდია
თენგიზ გოგოლაძე	(მხატვარი-რედაქტორი),
(პ/მ. მდივანი),	ლალო სულაბერიძე,
ოთარ დემეტრაშვილი,	ილია ტაბაღაძე,
გურამ დოჩანაშვილი,	უჩა ჯაფარიძე.
სერგო ლორთქიფანი,	

კორექტორი ქეთევან წერეთელი

საქ. სსრ კ. მარქსის
საბ. საბ. რესპუბ.
თბილისი, 1979

16999



ყაზიჩის ბერი

მას შემდეგ ოცი წელი გავიდა. ნოდარ ნოდის სახელი კი ღვიწყებს არ მისცემია.

ხალხი არასდროს ივიწყებს რჩეულთა სახელებს და მათ ხსოვნას მეტი შარავანდელით მოსავს.

ნოდარის გმირობა შემთხვევითობას არ მიეწერება, ის მთელი თავისი ბუნებით თითქოს მზად იყო ამისათვის.

წყნარი, მოკრძალებული, თავაზიანი, გულისხმიერი და თავმდაბალი, გონიერი, შრომისმოყვარე — ასეთად იცნობდნენ მას ამხანაგები, მეგობრები, თანამშრომლები.

აი, როგორ იხსენებს ნოდარს სკოლის მეგობარი დიმიტრი მახარაძე:

„ნოდარი ყველას გვიყვარდა, გვნიბლავდა თავისი ნიჭით, სიბეჯითით, თავმდაბლობით და, რაც მთავარია, ამხანაგებისადმი ყურადღებით. სამხედრო სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ ნოდარმა, მაშინ უკვე უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტმა, ნამდვილი მეგობრული ხელი გამოიწოდა, მასავით გვერდში ამოვიდგა. მისი დახმარებით რამდენიმე თვეში აღვიდგინე საშუალო სკოლის მასალა და მისაღები გამოცდები ჩავაბარე“.

აი, კიდევ როგორ ახსიანთებს ნ. ნოდის თანაკურსელი ციციანო სალუქვაძე:

„ნოდარი მხიარული ბუნების, მუდამ მომღიძარო და დიდი იუმორის გრძობით დაჯილდოებული ახალგაზრდა იყო. ყოველთვის კარგად სწავლობდა და უყვარდა თავისი ცოდნის სხვებისათვის გაზიარება, კამათი, ამხანაგების დახმარება. მან კარგად იცოდა გერმანული ენა და, თუ ხადმე წააწყდებოდა საინტერესო საკითხს ამ ენაზე, მოიტანდა წიგნსა თუ უფრანლს და გვითარგმნიდა ხოლმე.“

ნოდარი უაღრესად ყურადღებიანი და მოსიყვარულე შვილი იყო. მასსოვს, მეხუთე კურსის სტუდენტებმა გამოცდების ჩაბარების შემდეგ მამადავითვე ასვლა გადაწყვიტეთ. ნოდარმა, რომელიც სხვა დროს ასეთ შემთხვევაში ყოველთვის ჩვენთან ერთად იყო, წამოსვლაზე უარი გვითხრა; ამის მიზეზი კი ასე აგვისნა: ხვალ დილით მამაჩემი მივიღებთ მიდის მოსკოვში, მე რომ დღეს დავიგვიანო, შეიძლება მან ინერვიულოს და ვერ მოისვენოს, მე კი მიინდა, მგზავრობის წინ მშვიდად გამოიძინოს“.

1949 წელს ნოდარმა წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი, ამავე წელს

შვილა ასპირანტურაში და დაინიშნა ექსპერიმენტული ფიზიკის კათედრის ასისტენტის თანამდებობაზე. ოთხი წლის განმავლობაში ნ. ნოდია მოსკოვში, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის შავი მეტალურგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სწავლობდა აკადემიკოს გ. კურდიუმოვთან. ასპირანტურის კურსის დამთავრების შემდეგ ნოდარი კვლავ უნივერსიტეტში ბრუნდება და პედაგოგიურ მუშაობას ეწევა. 1958 წელს, 27 წლის ახალგაზრდამ, მოსკოვში წარმატებით დაიცვა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი და ერთი წლის შემდეგ დოცენტის თანამდებობაზე აირჩიეს.

პროფესორი ვ. პარკაძე როგორც აღნიშნავს, დოცენტ ნ. ნოდის მეცნიერული ინტერესები მეტალოფიზიკის საკითხებს ეხებოდა. ამ დარგში მან ოთხი შრომის გამოქვეყნება მოახსრო. აკადემიკოსმა კურდიუმოვმა ამ შრომებს მაღალი შეფასება მისცა და მის ავტორს ბრწყინვალე მომავალი უწინასწარმეტყველა.

დოცენტმა ნ. ნოდამ აქტიური მონაწილეობა მიიღო უნივერსიტეტის მაგნიტური ლაბორატორიის მოწყობისა და სხვა სპეციალური ლაბორატორიების შექმნაში. როგორც კარგი საზოგადოებრივი მუშაი, მოვალეობის მაღალი შემგრძნობი, ნ. ნოდია 1958 წელს სკკპ რიგებში მიიღეს.

აკადემიკოსი ელენფთერ ანდრონიკაშვილი ნ. ნოდის ასე ახსიანთებს: „მის სახეს იმდენი კეთილშობილება, იმდენი გულკეთილობა და კეთილშოხურნეობა ამკობდა, ისეთი ნათელი პიროვნება იყო, როგორსაც იშვიათად ნახავთ ცხოვრებაში. ამას ისიც დაუმატეთ, რომ ძალზე თავაზიანი გახლდათ, მუდამ მზად იყო სხვების დასახმარებლად. იგი ყველას გვიყვარდა“...

ყველაზე ძვირფასი, რაც ნოდარის დედას ელენე მაყაშვილს საყვარელი შვილისაგან შემორჩა, ყამირიდან გამოგზავნილი წერილებია.

აი ისინიც:

1958 წლის 31 ივლისი.

„კუსტანაის ოლქში, პესკოვსკოეში ჩასვლისას, იქ დაგვხვდნენ რაიონის წარმომადგენლები: რაიკომის მდივანი, მეურნეობების დირექტორები, ბრიგადირები და რაიონის აქტივი. გაიმართა მიტინგი, რომელზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელთა სახელით მომიხდა სიტყვით გამოსვლა. შემდეგ ჩავგსხეს მანქანებში და მეურნეობებში გავვანაწილეს. აქ ძირითადი მოსახლეობა ყაზახები არიან. მეტად კარგი ხალხია. ყაზახი პირდაპირი, პატიო-

„კვირფასო ლეონიდ ილიას ძემი სულმოუთხმელად წავიპაიტიხე თქვენი ზესანიშნავი წიგნი „ჰამირი“. მისი თითოეული სტრიქონი განსაკუთრებით ახლოგაული და ამაღელვებელია ჩემთვის. „ჰამირმა“ ერთდროულად უდიდესი ნათარებაც მომანიჭა და ძველი იარაღ გამოიხსნა.

მიმიხვდაბოდიშით, რას ნიშნავს ოჯახისათვის დედისეართა ვაჟის დაღუპვა. მაგრამ მე და ჩემი მეუღლე, აწ განსვენებული პროფესორი მიხეილ ნოდია, თავს იმით ვინუგაზუბდით, რომ ჩვენმა შვილმა სიცოცხლე შესწირა დედს, საყრველთაო. სახალსო სპამეს, შესწირა ისევე, როგორც ალექსანდრე მატროსოვმა და დიდი სამაგულო ომის სხვა გმირებმა.

ასლა თქვენი მოგონებანი რომ წავიპაიტიხე და შვიპგრაქანი, რაგდანი სიძნელე გაღაიტიანა ხალხმა დიდი კურისათვის ბრძოლაში, რა თავდადებათ ირჯავოლა ათიათასობით ვაზუპი. ისეთები, როგორიც ჩემი ვაჟი იყო, სავდა შამიისუბუჭდა და ტიპიკი დამიამდა.

დიდად გმადლოვთ, კვირფასო ლეონიდ ილიას ძემ, რომ თქვენი ზესანიშნავი „ჰამირით“ უკვდავების ძეგლი დაუდგით ამ გრანდიოზული ლაშქროვის მონაწილეთს, მათ შორის, ჩემ შვილსაც“.

ნოდარ ნოდის დედის — ელენე მაყაშვილის წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

ნოდარ ნოდია შვილთან ერთად.





სანი, ზრდილობიანი და შრომისმოყვარეა. საცხოვრებელ პირობებს არა უშავს!...

„მოსავლის აღება სამ-ოთხ დღეში უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ გაწვიმა, ქარი ამოვარდა და ახლა ძალიან ცივა... აქ ყოფნას უქმად არ ჩაუვლია, დიდი გამოცდილება მივიღე. კარგია, როცა სტუდენტთა ცხოვრებას, მათ ურთიერთდაოკიდებულებას არა სასწავლო საათებში ეცნობი. გიგანგით ადგილობრივი რაიონული გაზეთის „წინაშე კომუნისმას“ 28 აგვისტოს ნომერს“.

ნოდარის მოღვაწეობის შესახებ უნივერსიტეტის რექტორატის სახელზე ყარაბაღის საბჭოთა მეურნეობიდან გამოგზავნილ წერილში ვკითხულობთ:

„განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დოცენტ ნოდარ მიხეილის ძე ნოდის კარგი მუშაობა. იგი მოხერხებულად უხამებს ერთმანეთს სტუდენტებისადმი სწორ ხელმძღვანელობას, პირად შრომასა და საბჭოთა მეურნეობის მოსახლეობაში კულტურულ-მასობრივი ღონისძიებების ჩატარებას. მისი ინიციატივით სტუდენტებმა ადგილობრივი მოსახლეობისათვის მრავალი სპორტული და თვითშემოქმედებითი მხატვრული ღონისძიება განახორციელეს. დოცენტ ნოდის პირადი მავალითისა და სწორი ხელმძღვანელობის შედეგად, სტუდენტთა ჯგუფმა, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, პირველი ადგილი დაიკავა საბჭოთა მეურნეობაში მომუშავე ახალგაზრდებს შორის გამართულ სოციალისტურ შეჯიბრებაში“.

ყამირზე თავდადებული შრომისა და სტუდენტთა სანიმუშო ხელმძღვანელობისათვის ნოდარ ნოდია ოთხგზის იყო დაჯილდოებული; მიღებული ჰქონდა საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის ნიშანი „ახალი მიწების ათვისებისათვის“. 20 სექტემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ნ. ნოდის გადაეცა მედალი „ყამირი მიწების ათვისებისათვის“. იგი დაჯილდოებული იყო საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ქების სიგელით.

სულ რამდენიმე დღეში კი ნოდარი ტრაგიკულად დაიღუპა.

სამუშაოდან დაბრუნებული დალილ-დაქანცული ახალგაზრდები ნ. ნოდის მეთაურობით შინ ისვენებდნენ. უცებ სახანძრო განგაშის საყვირი გაიხმა. ცეცხლი ეკიდა პურის ბედელს, რომელშიც ათასობით ტონა მარცვლეული ინახებოდა. საჭირო იყო ხანძრის მიწევის, მისი ძირითადი კერის აღმოჩენა და ლიკვიდაცია. ადგილზე მიხვდნის უშუალოდ ნ. ნოდამ, როგორც ფიზიკოსმა, დაადგინა, რომ ხანძარი ქვესადგურში მომხდარი მოკლე ჩართვით იყო გამოწვეული. საჭირო იყო ქვესადგურში შესვლა რასაც ვერავინ ბედავდა. ნოდარმა არ დააყოვნა, მსწრაფლ შევიდა შიგ და დენი გამორთო, ხანძარმა ჯერ იკლო, სტუდენტების დახმარების შემდეგ კი სრულიად ჩაქრა. დაწვას გადარჩა პური, მაგრამ ქვესადგურს როცა მიაშურეს, ნოდარი ცოცხალი აღარ დახვდათ.

ასე შეეწირა ნოდარ ნოდია სახალხო საქმეს.

ახლა, როცა მთელმა ჩვენმა ხალხმა ასე სიყვარულით მიიღო ლ. ი. ბრეჟნევის შოგონებათა წიგნი „ყამირი“, ერთხელ კიდევ ვიგონებთ ყამირის გმირებს, სამშობლოსათვის, ხალხისათვის თავდადებულ ადამიანებს.

ლარისა ხუბულური

● არსენ ლოლიჯაშვილის ოჯახში ფოსტალიონს უამრავი წერილი მოაქვს ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყოველი კუთხიდან.

წერილები მოდის უკრაინიდან, მოლდავეთიდან, ბელორუსიიდან, როსტოვისა თუ რამენსკოს ოლქებიდან.

თავანთ წერილებში მშრომელები საქვეყნოდ ცნობილ მიხილესა და მეზოსტნეს არსენ ლოლიჯაშვილს ულოცავენ ახალ წარმატებებს, სთხოვენ გამოცდილების გაზიარებას, სტუმრად წვევასა და მჭიდრო კონტაქტს დამყარებას სთავაზობენ.

ზოგიერთი წერილის ავტორი საქართველოში ჩამოსვლისა და არსენ ლოლიჯაშვილის ბრიგადაში მუშაობის დიდ სურვილს გამოთქვამს.

იცით, როდის დაიწყო დენა ამ წერილების უწყვეტმა ნაკადმა?

გასული წლის ოქტომბერში გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის არსენ ლოლიჯაშვილის სურათი. ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანომ მილიონობით მშრომელს მოუთხრო იმ შრომისა და წარმატებების შესახებ, რომელსაც არსენ ლოლიჯაშვილმა და მისმა ბრიგადამ მიაღწიეს.

წარმატებები კი მართლაც რომ დიდი და სასახელო იყო!

მოდით, მოვიხველიოთ რამდენიმე ციფრი.

გორის რაიონის სოფელ ბერბუჯის მეხილეობამეზოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მეორე ბრიგადამ, რომელსაც არსენ ლოლიჯაშვილი ხელმძღვანელობს, ხუთწლიდის მესამე წელს გეგმით გათვალისწინებული 360 ტონის ნაცვლად სამშობლოს 560 ტონა მაღალხარისხოვანი ხილი ჩააბარა; ბრიგადამ გეგმით გათვალისწინებული 480 ტონის ნაცვლად 1000 ტონა ბოსტნეული კულტურები აწარმოვა; თითოეულ ჰექტარზე 40 ტონა მარცვლეული მიიღეს გეგმით გათვალისწინებული 19 ტონის ნაცვლად; ასევე დიდი გადაჭარბებით შესრულდა სი. ლოსისა და მეცხოველეობის ფერმებისათვის საკვები სენაუის დამზადება...

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი არსენ ლოლიჯაშვილი, როგორც იტყვიან, დროსა და მოცალეობას პოულობს საზოგადოებრივი საქმიანობისათვისაც.

სწორედ ხალხის მსახურის — დეპუტატ არსენ ლოლიჯაშვილის ჩარევითა და თაოსნობით აშენდა მდინარე მეჭუღაზე ხიდი, სოფელ თორტიწაში და ნიქოწში გაიყვანეს ასფალტირებული გზა, სოფელ ხელთუბანში აშენდა საშუალო სკოლის ახალი შენობა, სოფელ ბერბუჯში 40 ჰექტარზე დააშრეს ჭაობი და ხეხილის ნერგების ჩასაყრელად შეამზადეს ნიადაგი...



გარჯას და ამაგს უქმად როდი კარგავს ხალხი აი, ამიტომაც იყო, რომ მშრომელებმა წინასწარ ჩვენო კრებაზე არსენ ლოლიჯაშვილი კვლავ წამოაყენეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ამ დაფასებამ მეტი ძალა და შემართება შემატა სოციალისტური შრომის გმირს არსენ ლოლიჯაშვილს. მისი მტკიცე გადაწყვეტილება — ბრიგადის წევრებთან ერთად გაორკეცებული ენერგიით იმ. რომოს და ახალ-ახალი მიღწევებით გაანაროს დელსამშობლო.

თეიმურაზ მახაპარიანი



- არსენ ლოლიჯაშვილი.
- არსენ ლოლიჯაშვილი ეგუნდავება შვილიშვილს.

თარხან ბრეჟნევის ფოტო



გამოჩენილ ქართველ მწერალს სივრცე კლდიაშვილს დაბადების 85 წელი უმუსრულდა. 80 წლის გახდა გამოჩენილი მწერალი ალექსანდრე ქუთათელი.

შურალ „დროის“ რედაქცია გულითადად ულოცავს ძვირფას იუბილარებს მათი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამ ღირსშესანიშნავ თარიღს. დე, მათი ნიჭი და დაუზრუნველნი ენერგია კიდევ დიდხანს ემსახუროს ჩვენს სამშობლოს, ჩვენს ხალხს.



ქართველი
ლიტერატორი

ძვირფასო სერგო! 85 წელი შეგასრულებია, ჩემო კარგო მინდა, შენი ამ-
ქვეყნად არსებობის ეს თარიღი მოგილოცო, უკეთ რომ ვთქვა, აღვნიშნო,
რადგან, არსებითად, აქ მოსალოცი არაფერია!

ოთხმოცდახუთი წელი! ეს ხომ ჩვენს დედამიწაზე (რატომღაც მიღებულია
თქმა „ცოდვილ დედამიწაზე“) დიდი, საბატიო, თანაც საბასუხისმგებლო დროა!
განა იოლია ოთხმოცდახუთი წელი (თითქმის ერთი საუკუნე) გაუძლო უდი-
დეს ისტორიულ ქარტახილებს, ჩვენი ეპოქის უმძაფრეს კატასტროფებს,
რომელთა მონაწილე, ნებით თუ უნებლიეთ, შენ იყავი — ფიზიკურად თუ
არა, სულიერად მაინც?! გაიხსენე 1905 წელი. რუსეთ-იაპონიის ომი, პირვე-
ლი რევოლუციის დამარცხება, საშინელი რეაქციის წლები, 1914 წლის პირ-
ველი მსოფლიო ომი, იმპერატორული რეჟიმის რუსეთში დამხობა, თებერვ-
ლის რევოლუციის დღეები, ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება, სამოქა-
ლაქო ომი, ხანგრძლივი და უმკაცრესი, საქართველოში მენშევიკური ხელის-
უფლების დაცემა, საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის წარმოებული
ბრძოლები, წლები გარდაქმნისა, მშენებლობისა, გაჭირვებისა და მიღწევების!
შემდეგ მძვინვარე მეორე მსოფლიო ომი, ნგრევით, ასიათასობით ადამიანთა
ყოველდღიური დაღუპვით, აწიოკებით, ოჯახების განადგურებით, ათასწლოვან
ღირებულებათა გადაფასებით, ცდები ახალ ღირებულებათა შექმნის!

ცხოვრების ამ დიდ, მიმედ განვლილ გზაზე რამდენი სანუკვარი, აუნაზ-
დაურებელი რამ დაგეგმავს, რამდენი ცრემლი დაგიდგრა! ძილსაცდენილს,
რამდენი დამე ტანჯვით გაგიფრთხილა, ჩემო ძვირფასო ადამიანო!

გულთბილი მეგობრის საფლავისათვის, რამდენჯერ აკანკალებული ხელით
ერთი მუჭა ცივი მიწა მიგიყრია — ნიშნად სამარადისოდ განშორებისა! და
ყოველივე ეს უნდა გადაიტანოს იმ საბრალე გულმა, რომლითაც ასე შეუბ-
რალებლად დასაჯა განგებამ ადამიანი!

რამდენი ტკივილი, უგულოება და უსულოება გაქვს გადატანილი უსიტყვოდ,
უსაყვედუროდ! განა არ ვიცი, განა ყოველივე ამის მოწამე არა ვყოფილვარ?!
მაგრამ ერთი რამ დარჩა წარუშლელი, ყოველგვარ ხელყოფასა და დამცირე-
ბას აცდენილი! ეს არის შენი სიყვარული მშობელი ქვეყნისა, ჩვენი ქართვე-
ლი ერისადმი, მისი უკვდავი ენისადმი, რასაც შენ ანაცვალე ყოველივე, რაც
შენში იყო!

აქ უკვე, როგორც საკურთხევლის წინაშე, მინდა დავდუმდე, რათა ღრმა
პატივისცემით და სიყვარულით გადაგეხვიო, ჩემო უკანასკნელი მეგობარო!
საჭიროდ მიმაჩნია, გითხრა, რომ შენ ღირსეულად განვლე ეს 85 წელი, რომ
შენს სინდისსა და პატიოსნებას არავითარი ლაქა არ ამჩნევია, რომ შეგიძლია
თავდაუხრებლად თვალი გაუსწორო ამქვეყნად ყოველ ადამიანს! განა ეს
ყველას შეუძლია?!

ვიცი, შენ ეს არ გაკვირვებს! არც ის არის შენთვის საკვირველი, რომ
ჩვენც ვიყავით ერთ დროს ახალგაზრდები, ვიყავით მოსკოვის საიმპერატორო
უნივერსიტეტის სტუდენტები და ცხენოსანი ჟანდარმების მათრახები ჩვენც
მოგვხვედრია, რომ გვიყვარდა და ვუყვარდით, რომ ჩვენთვისაც უღალატნაათ
და ტკივილი მოუყენებიათ.

ჩვენს ოცნებას არაერთხელ აუგია ჩვენთვის პირანესის გრანდიოზულ
ჩვენებათა კიდევ უფრო გრანდიოზული დიდებისა და ბრწყინვალეობის სახა-
ხლები, კოშკები, სადაც, თითქოს, ჩვენზედ შეყვარებული, ჩვენზედ მეოცნებე
მზეთუნახავები, ამაოდ ელოდნენ ზეიმითა და დიდებით ჩვენს მოსვლას!..

და გაიარა, გაიარა ყოველივემ, ყველაფერი გაქრა! ჩვენ შეგვრჩა მხოლოდ
ის, რაც შერჩათ ლურჯი ზღვის პირას მცხოვრებ დედაბერსა და მის მეთევზე
ქმარს, რომელმაც ზღვაში ოქროს ჯადოსნური თევზი დაიჭირა!

ერთი რამ მაინც არის შენთვის უტყუარი: არწივის ბუდიდან მხოლოდ
არწივის ბარტყებს და არა ყვავებს უწერიან გადმოფრენა! დიდი დავით
კლდიაშვილის ბუდიდან ხარ გადმოფრენილი, ძვირფასო სერგო, და ოთხ-
მოცდახუთ წლამდე შეინარჩუნე შენი მშვენიერი შემოქმედების ძალა და
სინათლე, რაც დღემდე მახარებს მე, და შენს უკვე მხოლოდ ერთი ხელის
თითებზე ჩამოსათვლელ მეგობრებს, თუ, რა თქმა უნდა, აქაც ორ თითს ერთ
თითად მიითვლი!

ულრმესი სიყვარულით შენი კოლაუ ნადირაძე

გამოჩენილ ქართველ მწერალს ალექსანდრე ქუთათელს დაბადებიდან
ოთხმოცი წელი უმუსრულდა. მთელმა ჩვენმა პრესამ და ლიტერატურულმა
საზოგადოებრივმა ზეიმითა და მწერლისადმი წრფელი სიყვარულით აღნი-
შნა ეს თარიღი.

ალ. ქუთათელი სამწერლო ასპარეზზე ჩვენი საუკუნის ოციან წლებში
გამოვიდა. მის პირველ ნაწარმოებებს, რომლებიც „მნათობის“ ფურცლებზე
გამოქვეყნდა, მკითხველი თავიდანვე ღრმა ინტერესით შეხვდა.

ალ. ქუთათელის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა დამთხვა იმ წლებს,
როცა იზადებოდა ახალი, საბჭოთა საქართველო; ალექსანდრე ქუთათელი —
თვითმხილველი და მონაწილე ამ ისტორიული პროცესებისა — იქცა ამ
დიდი გარდატეხის შესანიშნავ მემკვიდრედ. მისი ოთხთომიანი ეპოპეა —
„პირისპირ“ დიდი ხანია აღიარებულია, როგორც მართალი და ზუსტი მატთან
თავისუფალი საბჭოთა საქართველოს დაბადებისა. ესაა წიგნი, რომელიც
განეყოფნება მთელი საბჭოთა ლიტერატურის ყველაზე უკეთეს ქმნილებათა
რიცხვს, იმ ფუძემდებლურ წიგნთა რიცხვს, რომელთაც ტრადიცია დაუდეს
და თავისი სახე მისცეს ახალ საბჭოთა პროზას, ამ წიგნში მთელი ძალით
გამოჩნდა საქართველოს მეტრძოლი მუშათა კლასი, მშრომელი გლეხობა,
მოწინავე ინტელიგენცია, რომლებიც თავდაუზოგავად იბრძოდნენ მენშევი-
კური რეჟიმის დასაზოგად, იბრძოდნენ საქართველოს ოქტომბრისათვის.

მიმე და რთული იყო ეს ბრძოლა. და მწერლის გამარჯვებაც სწორედ
ის არის, რომ მან წარმატებით გაართვა თავი ეპოქალურ მოვლენათა ჭეშმა-
რიტად რეალისტურ ასახვას.

ალ. ქუთათელის რომანი მკითხველს ხიბლავს, პირველ რიგში, თავისი
უშუალოებით; ავტორმა გულწრფელად თქვა სიმართლე იმ შინაგანი სულიერი
ბრძოლის შესახებ, რომელსაც განიცდიდა ახალგაზრდა ქართველი ინტელი-
გენტი, აზნაურული ბუდეების შთამომავალი, როცა ის სცილდებოდა თავის
კლასს, თავის წრის ტრადიციებს და რევოლუციური შემობრუნებისა და გარ-
დატეხის წლებში ეძებდა ახალ გზას; რომანის მთავარი გმირი — კორნელი,
ახალგაზრდა ქართველი ინტელიგენცია, რომელიც გარდატეხის წლებში თით-
ქოს ფხიზლდება, პირისპირ დგება რევოლუციის, ეპოქის, სამშობლოს
წინაშე და მართალ გზას ეძებს. როგორ იპოვნა მან ეს სიმართლე, რა
სულიერი ტანჯვა განიცადა მის ძებნაში, როგორ დადგა იგი თავისი ხალხის
მხარდამხარ, როგორი ძნელი და რთული იყო მისი იდეური და მორალური
გადაღუბების პროცესი, — აი, ამაზე მოგვითხრობს ალ. ქუთათელის ვრცელი
ეპოპეა. ალ. ქუთათელი ჭეშმარიტად ნათელი ფერებით გვიჩვენებს, რომ
სიმართლე მხოლოდ ხალხის, მხოლოდ კომუნისტური პარტიის მხარეზეა,
რომელიც მუდამ რაზმავდა და რაზმავს ჩვენს ხალხს ახალ გამარჯვებათა
მოსაპოვებლად.

ალექსანდრე ქუთათელმა ვრცელი შემოქმედებითი გზა გაიარა; გარდა
ამ ფართომანძინი რომანისა, იგი ავტორია მრავალი მოთხრობის, რომლებ-
შიც ასახულია საქართველოს ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ეპიზოდები,
ნაჩვენები არიან ადამიანები, რომლებიც ქმნიან ერის სულიერ საგანძურს. ამ
მხრივ პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ვრცელი მოთხრობა „აბესალომ და
ეთერი“, რომელშიც ავტორმა შექმნა ცოცხალი პორტრეტი დაუფიქსარი ვანო
სარაჯიშვილისა.


ასევე დიდი ინტერესი გამოიწვია ალ. ქუთათელის მოთხრობების ციკლმა
„იონა და მანანა“; აქ მწერალი კვლავ ძერწავს ცხოველმყოფელ ხალხურ
ხასიათებს, აღწევს რეალისტური ხატვის მაღალ ოსტატობას.

ალექსანდრე ქუთათელმა გაამდიდრა არამარტო ახალი ქართული პროზა.
მას დიდი ღვაწლი და ამაგი მიუძღვის ჩვენი ლირიკის წინაშეც. თავის ლექ-
სებში ის უმღერის ჩვენს დიდ საბჭოთა ეპოქას, ხალხთა ძმობას და მეგობ-
რობას. მისი პოეზია მკითხველს განუმტკიცებს ხალხისა და სამშობლოსა-
დმი, ადამიანისადმი სიყვარულის უწმინდეს გრძობებს.

ვუსურვოთ ქართული სიტყვის ამ გამოჩენილ ოსტატს დიდხანს შერჩე-
ნოვლად სულიერი სიმშვენიე, დაუცხრომელი ხალხისი და ტრფიალი ცხოვრებისა
და შემოქმედებისადმი, ვუსურვოთ მას ხანგრძლივი სიცოცხლე და დღეგრძე-
ლობა ჩვენი ხალხის და ჩვენი კულტურის საკეთილდღეოდ.

გიორგი ნატროშვილი

ბ. ქებურია საკუთარი კონსტრუქციის თვითმფრინავთან.



ეროვნული
გიგლიერთა

პირველი ქართული ავიასიონი



ლუი ბლერიო და ბესარიონ ქებურია.

სამოცდაათი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც პირველმა ქართველმა ავიატორმა ბესარიონ ქებურიამ საკუთარი კონსტრუქციის ბამბუკის პლანერით საბურთალოს მინდვრებზე მოაწყო პირველი საცდელი გაფრენა.

ბ. ქებურია დაიბადა 1870 წლის 12 თებერვლს ჩხორიწყუში. სოფლის დაწყებითი და ფოთის ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ წარჩინებით დაამთავრა რკინიგზის ტექნიკოსთა სკოლა და მუშაობდა ორენბურგ-ტაშკენტის სარკინიგზო ხაზზე, შემდეგ კი ბორჯომისა და ყარსის რკინიგზის მშენებლობაზე უფროს ტექნიკოსად.

ტექნიკით გატაცებული ბესარიონი ყურადღებით გაეცნო ციოლკოვსკისა და ჟუკოვსკის შრომებს, ინტერესით ადევნებდა თვალს ავიაციის დარგში რუსი ნოვატორების მოღვაწეობას.

მაღე ცნობილი გახდა, რომ ფრანგმა მფრინავმა ლუი ბლერიომ 1909 წლის 25 ივლისს მოაწყო გადაფრენა ლამანშე. ბ. ქებურიამ გადაწყვიტა სასწავლებლად წასულიყო პარიზში, ბლერიოს პილოტთა სკოლაში.

1910 წლის მაისში იგი საკუთარი და ქართველი საზოგადოების მიერ საქველმოქმედოდ შეგროვილი თანხით გაემგზავრა პარიზში და ლ. ბლერიოს პილოტთა სკოლაში წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები.

ორი თვის სწავლის შემდეგ ბ. ქებურიამ წარჩინებით დაამთავრა პილოტთა სკოლა და მიიღო ავიატორის დიპლომი. მაშინდელმა პარიზის გაზეთებმა „ფიგარო“, „ილუსტრაციონმა“ და სხვებმა გამოაქვეყნეს ინფორმაცია ავიატორთა ახალი კადრების გამოშვების შესახებ და აღნიშნეს ქართველი პილოტის ბ. ქებურიას წარმატება.

ლ. ბლერიომ სხვა ავიატორებთან ერთად ბ. ქებურია წარუდგინა საფრანგეთის მაშინდელ პრეზიდენტს კლემან არმან ფალიერს. პრეზიდენტმა მიულოცა ქებურიას ავიატორის წოდების მიღება. „მოხარული ვარ მამაცი და ლამაზი ქართველი ხალხის შვილის წარმატებით. გილოცავთ ავიატორის წოდების მიღებას“. ეს სიტყვები პრეზიდენტმა წარმოთქვა.

1910 წლის ბოლოს ბ. ქებურია გამოემგზავრა სამშობლოში ბლერიოსაგან შეძენილი აპარატით. გზადაგზა მოაწყო საჩვენებელი გაფრენები პეტერბურგში, მოსკოვში, ნიჟნიოვგოროდში, სარატოვში.

ბლერიოს ტიპის აპარატი თანდათან გაცვდა, ძრავა დაზიანდა და ფრენა შეუძლებელი გახდა. მაღე ბ. ქებურიამ შეძლო საკუთარი კონსტრუქციის უფრო მძლავრი თვითმფრინავის შექმნა.

1910 წელს გაზეთი „კავკასკაია რეა“ იუწყებოდა: „ჩვენმა თანამემამულემ ბ. ს. ქებურიამ შექმნა საკუთარი კონსტრუქციის ბრწყინვალე თვითმფრინავი, რომელსაც ავტომატური სტაბილიზატორი აქვს. ქებურია-სული აპარატი ქარს მშვენივრად უძლებს, ფრენის დროს ნაკლებად ქანაობს, რის გამო მგზავრები თავს კარგად გრძობენ. ჯერჯერობით შექმნილი ეს პირველი თვითმფრინავია, რომელსაც ორი ძრავა აქვს, ერთი ძრავა წინ არის, მეორე უკან. ტვირთშიდვა 700 კგ-ია,

რაც დაახლოებით 10 მგზავრს უდრის, საათში სიჩქარე 150 კმ-ია, თვითმფრინავს თავის წონასთან შედარებით ერთნახევარჯერ მეტი ტვირთი მიაქვს, რაც ავიამშენებლობაში პირველია და არც ერთ ევროპულ თვითმფრინავს არ შეუძლია“.

ბ. ქებურიამ მრავალი საჩვენებელი გაფრენა მოაწყო საქართველოსა და რუსეთის სხვა ქალაქებში საკუთარი კონსტრუქციის თვითმფრინავით.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ უკვე ხანდაზმული ბ. ქებურია კვლავ გატაცებით ემსახურება ავიაციას — ხან უკრაინაში, ხან ამიერკავკასიაში.

1931 წელს ბ. ქებურიას მიენიჭა დამსახურებული მფრინავის საპატიო წოდება და დაენიშნა პერსონალური პენსია.

1945 წელს დაჯილდოვდა ლენინის ორდენით და მედლით „კავკასიის დაცვისათვის“. საავიაციო საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ბ. ქებურიას სახელობის ქუჩა ეწოდა.

ზაზა შავიანიძე

Завтра, въ 3 ч. дня
авиаторъ
В. КЕБУРОВЪ
на берегу моря за
връпестью

рядомъ съ Афонским
шоссе къ морю сое
шить
ПОЛЕТЪ
на ашар. соб. констру

სულ ნაშადღვრის 3 საათე ქართულ
მფრინავი
ბ. ქებური

ბევს ხალხის უფროს მონს მახე
თავს გამოეწოლ ასაფრეთ განბრთე
ფრენას.

პაპაი გეგამი

ეს ამბავი ეგების მავანს იყო და არაიყოხავით მოეჩვენოს. ღმერთმანი, ზღაპარი არ არის, ისევე ნამდვილია, როგორც მზე ამოდის და ჩადის უკველდელ და არაფრად დაგიდევთ, ცარგვალნი მოკრიალეულია თუ ღრუბლებით დაყურსული. ისევე მართალია, როგორც ბალახი უტეველად ამოგეჭიდლება უკველ გაზაფხულზე, გაიხარებს, გალადდება, მერე მზით გაირუჭება და, თუ არავინ მოთიბა, თავის ფესვებს დაახმება.

რაკიდა სიტყვა ბალახზე ჩამოვარდა, აქვე დაძინებ: ბალახი ისე ხმება, ფესვს მიწაში ნელდალ ნახავს, სამერმისოდ, რომ მომავალ გაზაფხულზე კვლავ წინანდებურად ამოგეჭიდდეს. საოცრად სიცოცხლისმოყვარული და ჯიუტი ბალახი, სად არ იკიდებს ფეხს. თითქმის მთელი დედამიწა ბალახის ფესვებითაა მოქსოვილი. სიცოცხლისავით დაუმარცხებელია მზის და მიწის ღვიძლი შვილი — ბალახი. ნების თუ უნებლიეთ ფეხს უხეშად რომ დაადგამს ვინმე, მიწას ისე ჩახეხტება, როგორც ჩვილი დედას, უმალვე მოიკრებს ძალ-ღონეს და ჩუმბი გალობით წელში გაიმართება. გადაუღის რახრახა ტანკი და უღმერთოდ მისრეს-მოსრესავს, ფეხვი მაინც ცოცხალი რჩება, ისევე აიყრის ტანს და მწვანე სურვილებად მიიწვევს წითელი მზისაკენ. ერთი ბეწოც არ ემინა, თაკარა მზე რომ დაწვავს, რადგან ფეხვი სიცოცხლის მარადიულ მფარველ მიწაში აქვს საიმედოდ და სახვალიოდ გადგმული.

ზოგჯერ მგონია, დედამიწის ფიქრია ბალახი, ერთი მდიმარე, მეორე მოღუშული, მესამე ყვავილოვანი, მეოთხე ჩხვლეტია. მრავალფეროვანია დედამიწის ფიქრი და მისი უკველი ფერი დიდი სიცოცხლის გამონაშუქია.

ეს სხვათა შორის; ახლა კი ადამიანებს მივხედვით. პატარა, მაგრამ მუხლმარდი მდინარის გაღმა-გამოღმა, ფერდობებზე შეფენილი ტყეების ფერხით, ორი მინდორი იწვა. მარჯვენა მინდორში სამიოდ ნაბღის გაშლა ფირუზისფერი ტბა დივლივებდა, ტბის მეზობლად შავ-თეთრი კლდე იდგა, თითქოს მიწიდან სავალთვალ კოშკად ამოზრდილია. მინდორის შუაგულში ტანმსხვილ ბერმუხას ფართოდ გაეშალა დაკოფრილი მსხვილი მკლავები.

მდუმარედ გაჰყურებდნენ ერთმანეთს შავ-თეთრი კლდე და ბერმუხა.

სდუმდა ორივე მინდორიც. მხოლოდ დაუდგრომელი მდინარე ხმაურობდა მუდამ. მდინარეს წუთისოფელა ერქვა. ასე მოეათლათ იგი უხსოვარ დროს და ხალხსაც ასე ჰქონდა გულზე დაბეჭდილი. წუთისოფელა შორიდან მორბოდა და შორეთს გარბოდა — ხან პირქუში ღრუბელივით მღვრიე, ტალახისფერი, ხანაც უღრუბლო ცასავით კამკამა, ფირუზისფერი.

წუთისოფელა ხან ვაჟაკური ომანინობით მღვრიოდა, ხან მოჭირისუფელ ქალივით მოთქვამდა და ამ ორივე ხმას მდუმარედ უგდებდა ყურს ჩაფიქრებულ-გარინდებულ ორი მინდორი.

ერთ მშვენიერ დღეს, წუთისოფელას მალალ კბოლდეს, რომელსაც ხავსი არასოდეს ეკიდებოდა, თავს წამოაღდა ფეხშიშველა შავტუხა ბიჭი. ბიჭს შინაქსოვი, მიწისფერი შალის შარვალი და ცისფერი ჩითის, წითელკაბლბიანი პერანგი ეცვა, ხარის ტყავის ქამარი ერტყა, მხარადილე ბლის კანისაგან დაწნული ჩანთა ეკიდა. ჩანთაში მცირე საგზალი ედო — მახობელა პურის ხელისგულისტოლა კოკორა, კვახის დიდ ფოთოლში გახვეული ყველის ნატეხი და ხახვის მომცრო თავი. ხელში თავისი ხელითვე გამოთლილ-გამოჩორკნილი სალამური ეჭირა, ქამარში ცხვინისკარტა წალდი ჰქონდა გარჩილი.

ბიჭმა გაღმა გაიხედა და კოშკურა კლდეზე მდგა-

რი თეთრთავსაფრინი გოგო დანახა. გოგოს კაბაც, ეტყობა, ისეთივე ჩითისგან იყო შეკერილი, ბიჭს პერანგად რომ ეცვა. გოგოც ფეხშიშველა იყო.

ალბათ, გოგომაც დანახა კბოლდეზე მდგარი ბიჭი, მაგრამ არც ხელი დაუქნევია, არც დაუძახნია, მხოლოდ დაუინებით იყურებოდა გამოდმისაკენ. მერე კლდიდან ჩამოფორთხდა და ბიჭმა ვეღარ დალანდა, გოგო საით მიიშალა.

მეორე დღეს ჩითის პერანგა ბიჭი ისევე მალალ კბოლდეზე შედგა და გახედა გაღმა მინდორს. გოგო ახლა შავ-თეთრი კოშკურა კლდის ვიწრო თხემზე ფეხმორთხებით იჯდა და ისევე გამოდმით ეჭირა თვალთ.

ბიჭმა პირთან მოიმრგვალა ორივე ხელი და გასძახა:

— შე, შეი რა გქვია შენ?

ეს ძახილი, ეტყობა, მდინარემ უმალვე ჩაყლაპა, გაღმა არ გაუშვა. ბიჭმა ახლა ხელი დაუქნია გოგოს, ახლოს მოდიო, ხელი დაუქნია ერთხელ, ორჯერ, სამჯერ...

გოგოს თავი ისე ეჭირა, თითქოს ბიჭს ვერც ამჩნევდა ან ხედავდა და მის ხელის ქნევას აინუნშიც არ აგდებდა.

მდინარეზე ხიდი აქ არ იყო. ახლომანლო საცალფეხო, ერთქელიანი ხიდიც არსად ეგულებოდა ბიჭს. მღეროდა და ტირილა წუთისოფელა. ის ჯერ ვერც ბიჭს ამჩნევდა და ვერც გოგოს, თითქოს ჯერ მათთვის არ ცალიობა.

ღამე დღეს გაურბოდა და დღე — ღამეს; ერთმანეთს ეწეოდნენ და ვერც ეწეოდნენ.

ბიჭი დიდმუხიან მინდორში ამოვებდა ნახირს: ჭრელ ძროხას, წყვილ ხარს — ნიშახა და ნიკორას, მოკუნტრუშე ურქო ხბოს.

გოგო შავ-თეთრ კლდესთან მწყემსავდა ღორებს. ბატებსაც მოღენიდა ხოლმე. ღორები მიწას ჩიჩქნიდნენ ეშვებიანი დინგებით, ბატები ტბაში ყვინთავდნენ და ფრთებს აფათქუნებდნენ.

ცხელი დღე რომ ჩამოადგებოდა, ბიჭი რიყეს მიაშურებდა და ცხვირწამოშვრილ, შავ კლდესთან გაჩენილ მორევში ბანაობდა. გოგოც ბანაობდა ხოლმე, ოღონდ მოშორებით, რთხმელებით დაჩრდილულ, მდინარის ტოტის თხელ წყალში, იქ, სადაც ბიჭის თვალი ვერ მისწვდებოდა, თუ საგანგებოდ არ დაუდარაჯდებოდა გამოდმით მალალ თელაზე აცოცებულს. ბიჭს კი ასეთი უხნეობა ფიქრადაც არასოდეს მოსვლიდა.

წუთისოფელამ წაიღო ზაფხული. ჩამოდგა შემოდგომა.

გოგო კლდეზე დილითვე აფორთხდა ჩვეულებრივ, თხემზე ჩამოჯდა და მუხიანი მინდორისაკენ თვალმოუშორებლად დაიწყო ცქერა. ეს უმალვე შეამჩნია ბიჭმა, კბოლდეს მიაშურა და გაღმიდან ხელი დაუქნია — მომიახლოვდიო. გოგომ ხელის გაქნევითვე ანიშნა — არაო. მაშინ ბიჭმა ხელები ისე აათამაშა, თითქოს ცაში მიცურავსო. რა თქმა უნდა, ეს ნიშნავდა მდინარეში გამოვალს. გოგომ მხრები აიწურა.

ბიჭმა არც აცია, არც აცხელა, პერანგი რიყეზე დააგლო და შარვლიანად შეტოპა წყალში. გაღმა გასული ბეჭობს მოეფარა, შარვალი გაიხანდა, მარად გაწურა. სველივე ჩაიცვა და გოგოს მიაშურა. გოგო არც გაძნერულა, ისევე შავ-თეთრი კლდის თხემზე იჯდა და შიშველი ფეხები ტყუპად ჰქონდა ჩამოკიდებული. გრძელკაბიანს მხოლოდ წვივები მოუჩანდა.

შავტუხა ბიჭი ფირუზისფერ ტბასთან შეჩერდა და ლოყაწითელა გოგოს გულმუბრიყვილო ღიმილით ახედა:

— აი, გამოვედი. რა გქვია შენ?

— რა შენი საქმეა?! — ციცინათლები აუციმციმდა მწიფე მაყვლისფერ თვალეში გოგოს და მიტყუებულნი ხელები ნიკაპქვეშ შემოიღო.

— ვიცი, ჩემი საქმე არაა, მაინც მწაღია გავიგო, რა გქვია. თითქმის მეზობლები ვართ, სამწყემსო მინდვრის ყურის მეზობლები, ერთმანეთს კი არ ვიცნობთ. შენ შენი სახელი მაჩუქე, მე — ჩემსას გაჩუქებ და ბარი-ბარს ვიქნებით. ღმერთმა გვაშოროს და, ან ერთს, ან მეორეს უცებ რაიმე რომ გაგვიჭირდეს, საშველად ხომ უნდა მოგუხმომო? ჰოდა, სირცხვილი არაა, მეზობლის სახელი არ ვიცოდეთ?!

ერთმანეთს ხელის ჩამოურთმევლად გაეცნენ.

— ციურა მქვია! — ჩამოსძახა ლოყაწითელა გოგონამ მაღლიდან.

— მე კი როდღს მეძახიან — აისროლა თავისი სახელი შავტუხა ბიჭმა.

ერთ დღეს ციურა გადიოდა გაღმა, მეორე დღეს როდო გამოდიოდა წუთისოფელაში. გულმუბრიყვილოდ იღიბებოდა შავტუხა ბიჭი. ციცინათლები უციმციმებდა მწიფე მაყვლისფერ თვალეში ლოყაწითელა გოგოს. ჩამოსხდებოდნენ კბოლდეზე და ჩაჰყურებდნენ, წუთისოფელა რა გამაღებით მიაგულვებდა შხვიანა ზვირთებს.

ლაპარაკი არც ერთს არ უყვარდა, ორიოდ სიტყვას თუ დაიჩურჩულებდნენ და ეს ყველაფერად ჰყოფნიდათ. ბიჭი ხელში სალამურს ათამაშებდა, გოგოს ბალახის ღერო ედო პირში და წიწკნიდა. დილით ხვდებოდნენ ერთმანეთს, სალამოს შორდებოდნენ.

მთაზე გაღმომდგარმა თეთრწვერა ზამთარმა ისინი კარგა ხნით დააშოოს.

მერე გაზაფხულის ცხრათავალა მზემ აღერისით შემოადნო მთა-ბარს თერთ საბანი და ნამძინარევი მიწიდან თავმომწონედ ამოგეჭილდა მწვანე ბალახი. ორმა მინდორმა კვლავ გაიხარა. ციურამ და როდომ ძლივს იცნეს ერთმანეთი. გოგოს თითქოს სამოთხის ორი ვაშლი მოუპარავს, უბეში ჩაუშალავს და ვერც დაუშალავს, რადგან კაბა მკერდთან გამობურცვიაო. შემოდგომინდელ კაბაში უკვე ვეღარ ეტოლა გაზაფხულის მინდორში გამოსული ციურა. წელი კი თითქოს უფრო დაწვრილებოდა, ბეჭდის თვალში გაეტოლა. როდოს მხრები ფართოდ გაშლიდა, მკლავები დამსხვილებოდა, უღვაშები აკოკრებოდა, თვალეში მეტი ციცხლი უგზავნივებდა.

წუთისოფელა წინანდებურად მიაჭირითებდა შხვიანა ზვირთებს — ხან მღეროდა, ხან მოთქვამდა.

მინდვრების მოშორებით მუხლმარდ მდინარეში გაშლილი ფონი მოძებნეს. ერთ დღეს ბიჭი შავ-თეთრი კლდისაკენ მიერეკებოდა ნახირს, მეორე დღეს გოგო ბერმუხისაკენ მიღწედა ღორებსა და ბატებს.

დილიდან საღამომდე ერთად ყოფნა ეწადათ. ბიჭი სალამურს უკრავდა, გოგო პირში გარჩილ ბალახს წიწკნიდა.

კვლავ წაიღო ზაფხული წუთისოფელამ და მდინარესთან ისევე შემოდგომამ დაისადგურა.

უღრუბლო დღეს ქალიშვილი, ჩვეულებრივ, კოშკურა კლდეზე აცოცდა და თხემზე დადგა. ჭაბუქმა ახედა და მოეჩვენა, ცაში გაფრენას აპირებდა. არ გამიფრინდესო და თვითონაც აეცია კლდეს.

— შენ საღა მოფოფხავ? — დაუშალა ციურამ,

— აქ ორნი ვერ დავეტყვით!

— დავეტყვით! — თეთრი კბილების გაელვებით მიუგო როდომ.

— მე გადამაგდებ და შენ დადგები?! — ბროლის კბილთა გაელვება და ავარსკვლავებულნი თვალეში ჩააგება ციურამ.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



- ბულატი
- გრემი.

თარხან არჩვაძის ფოტო

- იუალო
- ძველი შუამთა.

საქართველო

ბრძანება
გორაკისთვის

სსს 58





ქართული
ბიბლიოთეკა



სოციალისტური შრომის გმირი არსენ კობაიძე

თარხან არჩვაძის ფოტო.



- უშგული.
- დაბა მესტია.
- უშბა.

შოთა ჩართოლანის ფოტო.



— არც შენ გადაგვადებ და მეც კობხად დავ-
დგები — არ დააყოვნა პასუხი როდომ.

კლდის თხემი, მართლაც, ერთობ ვიწრო იყო.
ერთმანეთს ხელი ჩაჭკიდეს და აღარც გაუშ-
ვიათ.

ვაჟის ხელის სითბო ჯერ ქალის ხელს გადაეწია-
რა, მერე მთელ სხეულს მოედო საამო ურუნანტე-
ლად. ქალის ხელის სითბომ კი უთბილეს ურუნ-
ტელად დაუარა ვაჟის ძარღვებს.

ქალ-ვაჟი ირგვლივ ვერაფერს ხედავდა სარკე-
სავით მოკრიალბული ლურჯი ცის გარდა. ყო-
ველივე დანარჩენი სათვალბილთოდან გაუქრათ
და დაეკარგათ უცებ.

ხელისხელოვანები იდგნენ და სდუმდნენ.
პირველად ჰაბუკმა დაიხურჩულა:

— ერთი ქალაქელი სტუმარი ეწვია მამჩემს. იმ
კაცმა გვითხრა, ცას არც თავი აქვს, არც ბოლო,
ფიქრივით და ოცნებასავით უსასრულოაო.

— მერედა, შეიძლება მართლაც ასე იყოს? —
გაიკვირვა ქალიშვილმა.

— ალბათ, შეიძლება. ის ქალაქელი დიდად ნას-
წავლი კაცია თურმე, ქვესკნელსა და ზესკნელში
რა ხდება, ხუთი თითოვით იცის. ისიც თქვა, ცარ-
გვალი მარადისობის საუფლოაო.

ახლა ორივემ მეტი დაკვირვებით გახედეს ლუ-
რჯად მოლივლივ სივრცეს, ცა უფრო შორს მი-
დიოდა, ღრმავდებოდა და ღრმავდებოდა... არა,
უფსკრულს არა ჰგავდა, ეს იყო უხილავი მარადი-
სობისაკენ მიმავალი უსასრულო გზა და ახლა
ქალ-ვაჟიც თითქოს იმ გზას მისდევდა. ისინი ერ-
თდროულად მიწაზე იდგნენ და ცაშიც მიჰქროდ-
ნენ — მარადიულ ცაში მიჰქროდნენ ხელისხელო-
ვანები და მარადიულ მიწაზე იდგნენ. თით-
ქოს უკიდევანო სამყარო მხოლოდ მათ მხრებზე
ქსენა, მაგრამ ეს არც ერთს არ ამიძებდა, რად-
გან ისინი ხელისხელოვანები აერთებდნენ მი-
წასა და ცას.

ეს ფიქრი ამგვარად, რა თქმა უნდა, მთლად გა-
ცნობიერებული მაშინ არც ერთს არ ჰქონდა. ამ-
ას ისინი მხოლოდ თანდაყოლილი, ქვეცნობიერი
აღლოთი გრძნობდნენ. უბრალოდ, უხაროდათ ერ-
თმანეთის მხარდამხარ მდგარი ლურჯი ცის გარდა
ირგვლივ ვერაფერს რომ ვერ ამჩნევდნენ. ბო-
ლოს ისე მიეკრნენ და მიეზიდნენ ერთმანეთს, თი-
თქოს ერთ არსებულ იქნენო. მერე შეთანხმებუ-
ლებით ერთდროულად შებრუნდნენ პირისპირ
და მონუსხულებით გახედდნენ.

ჰაბუკს ანაზღად თავში გაუღედა ფიქრმა, მოე-
ჩენა, რომ ციურა დასახნავ ყამირ მინდორსა
ჰგავდა, მისი სუნთქვა კი საამოდ მონაბერ სიოს.
ეს სიო ურუნანტელის მომგვრელად ელამუნებო-
და, ღვინოსავით ათრობდა და აბრუნებდა ჰაბუკს.
უსიტყვოდ მიხვდნენ, უერთმანეთოდ სიცოცხ-
ლე აღარ შეეძლოთ.

როგორც კი ქვევრებში მჭარბი დაღვინდა, იქო-
რწილეს. ქორწილს ვამბობ, თორემ ციურასა და
როდოს შეუღლებასზე არც ცხენოსან მაყრებს გა-
უცვეთიათ შარაგზა, არც თოფი დაუქუხებიათ.
შებინდებისას სიძეს გაღმა სოფელში ფხვით გამ-
ყვა შეიდიოდე კობხად გამოწყობილი კაცი, ქა-
ლის ოჯახმაც ამდენივე მაყარი გამოატანა, მექო-
რწილებს შუალამისას გოგო-ბიჭები ყვარის ფი-
ნელივით შეეგებნენ ორდობეში, სიძე-პატარძალს
სახლის ზღურბლთან პირქვე გადაბრუნებული თე-
ფში დაუდეს, როდოს ფხვის დაკვრით გაატხვინეს;
თან მიაძახეს: ასე დაემშოს და დაიმსხვრეს თქვენს
ფხვქვეშ გართხმული ყველა მტერი, ორგული და
მაცილიო. მერე ნეფე-დედოფალი მოგუზგუზე ბუ-
ხრის პირთან გაშლილ სუფრას მიუსვეს, ბედ-იღ-
ბალი დაულოცეს, შენმატკბილბულად შებერება,
გამრავლება და დიდი ბედნიერება უსურვეს, სხვა
სადღეგრძელობებიც მიაყოლეს, დღამდე იქიფეს
და მაყრები წავიდ-წამოვიდნენ.

როდოს მამამ ცალთვალა სახლს ქორწილამდე
პატარა სანთიბო ოთახი მიაშენა თავისი ხელით.
ნაქორწილვე ნეფე-პატარძალი იმ ოთახში შეიყვა-

ნეს და სახელდახლოდ გამოიჩინა ხის ტახტ-
ზე დაგებული ახალ ლოგინში ჩააწინეს.

ცივი იყო სანთიბო ოთახი. ნეფე-დედოფალს
კი მთელი ცივი ზამთარი ისე შემოაღწია ხელში,
სიცივე ერთხელაც არ უგრძნიათ.

გაზაფხულზე მამამ თავისი სახლის მეზობლად
ცალკე დაუდგა როდოს ქონხაში. ახლად შერთულ
ცოლ-ქმარს ასე ურჩევნია, დაე, ცხოვრებამ თვი-
თონ ასწავლოს, ამთავითვე მიეჩვივნონ გაკირვე-
ბას და საკუთარი ბუხრის მოვლა-პატრონობასო.
თუ დახმარება დაჭირდებოდა, დედ-მამა კარის მე-
ზობლად ვყავართ და ხელს უშაღვე მივაშველ-
ებთო. ასე უფრო მეტად შეუყვარდებოდა ერთმან-
ეთი და ჩვენც მეტი პატივისცემით მოგვეპყრობი-
ან, ყველა საქმეს თავდაკვირვებით, გულიანად და
საძირკველში ჯიჯრის ჩაყოლებით გააკეთებნო.

შობლებს გუმანმა გაუჭრათ, აღლომ არ უშტ-
ყუნათ. როდომ დედ-მამის დახმარებით იმ პატარა
ქონხაში მაგივრად მალე ორთავლიანი ოდა წამო-
ჭიმა, ქონხაში კი სამზადად დაიტოვა.

ხელმარჯვე ციურაც მხარში ედგა მუყაით ქმარს,
მასთან ერთად ეწეოდა ცხოვრების უღელს, მე-
რედა, რა ხალისით აყეთებდა ყველაფერს — სულ
ციცინათელები უფრინავდნენ თვალბში. ერთად
ჩაყარეს ახალი ვენახი, ერთად დარგეს ხეხილი.
როდომ შორეული სოფლიდან კაკლის ნერი მო-
იტანა, ბერძნულიაო, ჩვენებურზე ორჯერ მსხვილ
ნაყოფს ისხამსო.

ყველაფერი უხაროდათ. ამ სინარულს მალე ის-
იც მიემატა, რომ ორთავლა ოდაში მზის ჩუქურ-
თით მოხატული აკვანი შეიტანეს და შიგ სიყრმის
ვაჟი ჩააწინეს. პატარა ბიჭი ოჯახის დიდ იმედად
იღიმიებოდა. ღმილი არ შორდებოდა დედ-მამისა
და ბაბუა-ბებუის პირისახესაც.

წლისთავზე ჩვილმა ფეხი აიდგა და ფალანგა-
ჭიშკრამდე მიბაჯბაჯდა. მეტი გზის გავლა კი არ
დასცალდა. შორი ქვეყნიდან შემოპარულმა უცხო
ჭირმა ჩამოიარა სოფელში, მავანი დაამუნჯა, პა-
ვანი დააყრუა, როდოს ახლად ფენადგმული ბიჭი
კი თავის ბებია-ბაბუიანად საიქიოში წაყვანა.

სიკვდილის ხელშენახები აკვანი დაწვეს — ჭი-
რი სჭირსო.

სიყრმის შვილის უდროოდ დაკარგვამ გულის
მთავარი ძარღვი ჩასწყვიტათ, მუნჯებოვით დადი-
ოდნენ. მთელი წელიწადი თავი არ აუწევიათ,
მზისათვის არ შეუხედავთ. ღმილის სახსენებელი
დაეკარგა ციურას პირმოკუმულ პირისახეს, სინა-
რული დაუშრა ჭირ-ვარამით სავსე როდოს გულს.

— ჩვილის სიკვდილზე ამდენი დარდი და გლო-
ვა სად გაგონილა, ანგელოზი იყო და ღმერთმა ცა-
ში წაიყვანა, თქვენი კალთა ჯერ სავსეა შვილებ-
ით! — ეუბნებოდნენ მეზობლები, ნათესავები,
მოყვრები.

როგორც იქნა, ვარამი გადახარშეს, ცრემლს
აჯობეს და კერასთან ახალი აკვანი დააწიეს —
ისევ ვაჟი შეეძინათ.

ბიჭუნა იმხელა გახდა, მაღალ ლობეზედაც გა-
დადიოდა უკვე, ღრადარულდებში ძრომა უყვარ-
და, უხსენებელმა შიშველ ფეხზე უჯინა. მამა
ნაკებნს დაეწაფა — შხამს გამოვწოვო. დედამაც
გამოწოვა შხამი, დაუგვიანდით — შხამი უკვე სი-
სხლში წასულიყო.

იჭირისუფლეს და ისევ გააჩინეს შვილი — გო-
გო ეყოლათ.

— ღმერთო, ეს მაინც შემარჩინე! — მუხლმო-
დრეკლი შეევედრა როდომ მამაზეციერს.

არ შეისმინა უფალმა როდოს მუდარა — გო-
გონა აკვნიდან პატარა კუბოში გადააწვინეს და
ორი ძმის გვერდით დამარხეს.

აკვანი აღარ დაუწვავთ, გამოცვალეს. აკვნის გა-
მოცვლამაც არ უშველათ. საშიოდე წელიწადში
მათი ეზოდან კიდევ გაიტანეს ორი პატარა კუბო.

ვერა და ვერ გაიხადა ციურამ ძაძა. მის თვა-
ლებში აციმციმებული ციციანთელები აღარავის
დაუნახავს. თვალბები ჩაედრებულა და ამოულამდა.
პირისახე დაუქნა და დაეღარა.



მხატვარი თენგიზ სამსონაძე

— რაც საწუთროში დარდი და ვარამი გეგულე-
ბა, მარტო ჩემთვის გწაღია, ღმერთო? ასე რატომ
შემომჩვიე პირშივი სიკვდილი, დამიბრყვე?!

საკუთარ თავთან საუბარი დასჩემდა როდოს.

ცრემლი მხოლოდ სიყრმის შვილს გაატანა, მერე
მის თვალზე კურცხალი აღარავის დაუნახავს.

სოფელს ეგონა, ეს კლდე კაცი დაუღვრელი ცრე-
მლისაგან ქვა-ლორღვით დაიშლებოდა; არ დაიშალა
კლდე კაცი ქვა-ლორღვით, ვერ აჯობა დაუღვრელმა
დედმა ცრემლმა. კაცმა გეოვას თავი მიანება და
გულმოსულმა ვიდაც უხილავს დაუწყო დავა. ვე-
ნახს სხლავდა, ყანას თონიდა თუ საბოსტნე მიწას
ბარავდა, ერთსა და იმავე გაიძახოდა:

— ში, დედასა! ში, დედასა ში, დედასა! ვერ მა-
ჯობებ, ვერა! ვერა, ვერა, ში, დედასა!..

(დასასრული მომდევნო ნომერში)

უენს უიფს უიფსაჲოო

ბერძნული
გამოგონება



გამოგონილი ქართველი მცენებრისა და საზოგადო მოღვაწის მიხეილ თამარაშვილის ნეშტი, რომელიც 1911 წლიდან იტალიის ქალაქ ჩივიტა-ვეკიის ვილანა, საქართველო დაუბრუნდა. მოგზაობა მიწა მიწა ვიწრო ათეულ წელზე მისი წინაპრის გარდაცვლილი შვილი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება საქართველოს ისტორიის შესწავლას შეაძლია.

იმ დღეს დიდალა ხალხს მოიქარა თავი ხელოვნების მუშაობით, სადაც მცენებრის ნეშტი იყო დასვენებული. გაიბრუნა მიტინგი. მიტინგი გაგრძელდა დიდუბის პანთეონში. ყველას გულზე სიხარულს სიხარულს დასადასტურებინა, იმის შეხებით აღძრულ სიხარულს, რომ მოგზაობა მიწას დაუბრუნდა უცხოეთში დიდი ხნით გადაკარგული ღვიძლი შვილი.

რამდენიმე გამოსათხოვარი სიტყვა წარმოიტოვა დიდუბის პანთეონში, ხალხს მოიხიბინა მიხეილ თამარაშვილის დიდი პატივისცემისა და მემკვიდრის აპატი წამოღების ხმა:

...დღევანდელს, ბავს არ გთხოვ,
უენს მიწას მიმავარო...

გვამდამთ აპატივობს ვახტანგ ბერიძის სიტყვას, წარმოთქმულს დიდუბის პანთეონში მიხეილ თამარაშვილის ნეშტის დაკრძალვაზე.

დღევანდელი დღე უჩვეულო დღეა, უჩვეულო და უცნაურიც კი: მთელი საზოგადოება, მთელი საქართველო, ჩვენ ყველანი, შევიკრიბეთ გასვენებაზე, მაგრამ მწუხარების ნაცვალად ყველას სიხარულის გრძობა გვიპყრობს, სიხარულისა და სიამაყის გრძობა. დღეს მწუხარების დღე არ არის — სიხარულისა და ზეიმის დღეა. იმიტომ, რომ დღეს გამოსწორდა ისტორიის უსამართლობა და საქართველოს შინა დაუბრუნდა მისი შვილი, რომელსაც სიცოცხლეში ვერ ეღიბა, კვლავ ეხილა ქართული მიწა.

იმიტომ, რომ სამშობლომ, დღევანდელმა საქართველომ არ დაუქარგა ამაგი თავდადებულ შვილს და შეძლო ვალი მოეხადა მის წინაშე. მოქალაქეობრივ ვალს ვისდით ჩვენ ყველანი, აქ მოსულნი, მღელვარებით შეტყობილნი, დიდი ქართველი პატრიოტის მიხეილ თამარაშვილისადმი მოკრძალებისა და უღრმესი მადლიერების გრძობით გამსჭვალულნი და სწორედ ეს არის, სიამაყის გრძობით რომ გვაგებებს.

თამარაშვილი საკვირველი პიროვნება იყო. მისი ცხოვრება მაგალითია ადამიანის სულის სიძლიერისა და დაუცხრომლობისა. ღარიბი ოჯახის შვილმა, ბავშვობის წლებში ვერ შეძლო საშუალო განათლების მიღება, ხელობა შეისწავლა და ოცი წლისა ჯერ კიდევ ხარჯობდა. მისი ოჯახური პირობები, პროვინციული გარემო, რომელიც იგი ცხოვრობდა, თითქმის ყველაფერი იმის მათწუხებელი უნდა ყოფილიყო, რომ ეს ჭაბუკი დასჯერებოდა თავის ზვედრს, სიბეჭითის წყალობით იქნებ რაღაც ქონებაც მოეგვება და მშვიდად, უღრტვიანელოდ გაღვივდა თავის წუთისოფელს.

მაგრამ თამარაშვილი იშვიათი შინაგანი ძალის ადამიანი იყო და ასეთ უღიმღამო ცხოვრებას ვერ შეეგუებოდა. იგი სულ სხვა ცხოვრებისათვის იყო გაჩენილი და შეგნებულად აირჩია კიდევ თავისი გზა — გზა ცოდნის მწვერვალების დაპყრობისა, მაგრამ, იმავე დროს, გზა ბრძოლისა და ტანჯვისა.

მისი გარდაცვალების დღეებში, როცა მთელი საქართველო აღმღვებელი იყო თამარაშვილის ტრაგიკული ზვედრით, ერთმა ორატორმა თქვა, რომ მან (მის თამარაშვილმა), ჯერ კიდევ ბავშვმა, თავისი მასწავლებლის, შესანიშნავი მესხი პატრიოტის ივანე გვარამაძისაგან „შეისვა ღრუბელსავით მამულის სიყვარული და მისთვის თავის დაღების აუცილებლობა“.

ეს სიტყვები სრულად ასახავს თამარაშვილის ცხოვრების აზრსა და შინაარსს: რამდენი გაჭირვება, დამცირება და სიფათი გამოიარა მან, სამშობლოდან გაძევებასაც ვერ გადაურჩა, სამშობლოში დაბრუნების ნაცვრაც ვერ აისრულა, მაგრამ არასოდეს არ შემდრკალა და უკან არ დაუხევია; მთელი თავისი არსებობა, თავისი იშვიათი ნიჭი და გასაოცარი ნებისყოფა მან სამშობლოს კეთილდღეობას

მიუძღვნა: როგორც მეცნიერმა-მკვლევარმა ფასდაუღებელი ამაგი დასდო საქართველოს ისტორიის შესწავლას, ხოლო როგორც პიროვნებამ, ნათელი კვალი დატოვა თანამემამულეებსა და შთამომავლობაში.

მიხეილ თამარაშვილის დაღუპვის დღიდან 67 წელი გავიდა. და დღეს სწორედ მისი შთამომავალნი შეიკრიბნენ აქ, შთამომავლნი, რომელთაგან არავინ არ იცნობდა პირად თამარაშვილს, არავის არ უნახავს ცოცხალი თამარაშვილი, მოვიდნენ მხოლოდ მადლობის გრძობით აუვსილნი, რომ გააცილონ მისი ცხედარი — ამჯერად უკვე სამარადისო განსვენების ადგილამდე — სამშობლოს რჩეულ შვილთა შორის. მაგრამ ჩვენი ვალი შინა არ იქნება მოხდილი, სანამ არ მიხედავთ და არ გავაცოცხლებთ თამარაშვილის მეცნიერულ მემკვიდრეობას, მის მდიდარ არქივს, გამოუქვეყნებელ შრომებს.

ეს საჭიროა არამარტო და არა იმდენად მისი ხსოვნის უკვდავყოფად, ეს საჭიროა თვით ჩვენი მეცნიერებისათვის, ჩვენი წარსულის მეცნიერული კვლევის უკეთ დაფუძნებისათვის.

თავისი პირველი წიგნის წინასიტყვაობაში მიხეილ თამარაშვილი წერდა: „თუმცა დიდი შრომა მოითხოვა ამ წიგნში მოყვანილის საბუთების შეკრებამ, მაგრამ რადგან შეგნებოდა სარწმუნოებასა და მამულს, გაჭირვება და შრომა სიამოვნებით თავს ვიღვივით“.

საქართველო არასოდეს არ დაივიწყებს ამ დიდ შრომას მამულისათვის და მიხეილ თამარაშვილის სახელი მუდამ სამშობლოს ყველაზე ღირსეულ შვილთა შორის იქნება მოხსენიებული.

ვახტანგ ბერიძე



L'Abbé MICHEL TAMARATI
Aux cris d'un infortuné
Se sacrifia lui-même
Et périt victime de son dévouement
Dans les eaux de "Santa Marinella"
Le 16 Septembre 1911

Toujours vivant sera le souvenir de son héroïsme tragique
La mémoire de sa bonté
Les sentiments suaves pour ses amis
L'amour de la patrie inépuisable
Immortalisé en livres et écrits
Sacrés à la Religion
Qui eut en lui un prêtre exemplaire
Un zélé zèle et fervent
Dont l'exil pour la loi.

Ses amis très chéris.
8365-11

მ. თამარაშვილის გარდაცვალების მუწუვებელი ცნობა ერთ-ერთ იტალიურ ჟურნალში.

გამოგონილი მთელი რომიდან მთელი რომის ფოტოგენტი.

პირდაპირი სიხარული სიხარული სიხარული
სიხარული სიხარული სიხარული სიხარული
სიხარული სიხარული სიხარული სიხარული
სიხარული სიხარული სიხარული სიხარული

25 სექტემბერი 1911. ს. პ.
Muzio Clemente, 70. Rome.

ჭვივისი სხსოვარი



● 1948 წელი იღვა. ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ომი მძვინვარებდა. წინანდალში შალვა დადიანი და ვიქტორ გაბესკირია ჩასულიყო. ვიქტორ გაბესკირია იქ „ქეთევან წამებულზე“ მუშაობდა.

სოფელს რა დაემალემა, ყველამ იცოდა ამ ორი ადამიანის ყოფნა სოფელში; ვის ჰქონდა მათთან თვის სხვის პატივისცემაზე ეფიქრა, მაგრამ მოგეხსენებათ, რა გასაჭირიც არ უნდა ადგეს ქართველ კაცს, სტუმარს მაინც არ დაივიწყებს.

იმ ორსართულიანი სახლის წინ, სადაც ამ ორ შესანიშნავ ადამიანს დაედო ბინა, ცხოვრობდა ერთი მშრომელი, გამრჩე ქალი, ოთხი შვილის დედა — ქეთევან ვეფხიშვილი-ციხისთავი. მისი ვაჟიშვილი — რევაზ ბიძინაშვილი, იმ შემოდგომას, ომგადასდელი დაბრუნდა სოფელში. 21 წლის ჭაბუკს მაშინვე ეცნო ჩვენი სასიქადულო მწერლები და დედისათვის გაემხილა.

აწრიალდა ქეთევანი — ასეთი პატივსაცემი სტუმრები უყურადღებოდ როგორ დავტოვოთო და ერთ დღეს თვითონ რომ ვერ გაბედა სტუმრებთან მისვლა, წყაროზე გამოსულ ვიქტორ გაბესკირიას შეუღღეს — ოღია გაბესკირიას დახვდა და მოსაკითხი — თათარა და ჩურჩხელები მიაართვა.

მეზობლის ყურადღება თურმე დიდად ეამათ შალვასა და ვიქტორს. დასდნენ, ლექსი დაწერეს და მეორე დღეს ქეთევანს გაუგზავნეს.

გავიდა წლები, ქეთევან ციხისთავის ოჯახი სათუთად ინახავდა ამ შესანიშნავ სახსოვარს. და აი, უკვე ჭაღარა რევაზ ბიძინაშვილი, ამ შემთხვევიდან 35 წლის შემდეგ, ჩვენს რედაქციაში მობრძანდა, ფერგადასულ ქალაქზე დაწერილი ლექსი მოიტანა და მისი გამოქვეყნება გვთხოვა.

უურნად „დროშის“ რედაქცია მადლობას უძღვნის რევაზ ბიძინაშვილს და სიამოვნებით უსრულლებს თხოვნას.

გაბესკირია რ ვაქვამ? ჩვენს იქვინან
სოფელს რ ვაქვამ, ხარ მამ?
მეგამ მუ გამოგზავნა
მე თვითონ დადიანს!

ქვევ ვაქვამ, მან ვაქვამ
იმ დადიანს ქვევამ,
მევევ ვაქვამ ვევევამ,
ღამამ დახდნევევამ!

ქალ ვაქვამ: ეს სულვე
დახდნევევამ ვაქვამ,
ვინვე ვაქვამ ვევევამ ვაქვამ
დახდნევევამ ვაქვამ.

ვაქვამ, ხარ იმ სოფელთან
თქვენ იმთა ვევევამ.
ეს სულვე, ეს ბიძინა
მე, იმთავე ვევევამ.

მევევ ვაქვამ
ვაქვამ ვაქვამ

ბიძინაშვილი 43წ.
წინანდანი.

გონდო კეზელავა

ისევ და ისევ თბილი საბანი,
ისევ ძილისკენ ისწრაფის სული...
შენ მომიყევი კარგი ამბავი,
მე კი ჩავთბები შეცივებულში...

გამოვიღვიძებ და დილის შუქი
სიცოცხლის ხალისს შემმატებს, მჭერა...
ეგების შეწყუდეს თოვლი, ქარბუქი,
და გაგვახაროს სუფთა ცის ცქერამ.

დაშეა... ბადრი მთვარე ქათქათებს,
გვაზე ვილაცა მიდის დიღინით...
ამაღლებულ ხმას კრინით ამთავრებს,
თითქოს კვლავ რჩება ყელმოღერლი...

ისევ სიმღერით სურს ალბათ თრობა,
მთვარე ხელს უწყობს ნაღვინევ მგზავრსა...
მე კი... მე მეყო მისი ხმით ტკბობა,
თუ შეჩერდება კარგს იჯამს, კარგსა...

რა კარგი დღეა, რა ღამაში დილა გათენდა...
ტოტებდახრილი ხეხილები თვალებს ამშვიდებს...
წუხელ მოხუცი მებაღე აქ დაშეს ათევედა,
ახლოს უვლიდა ამ დიდებულ გორას სამშვილდეს,
ვინმე ავსული ბაღში რომ არ გამოჭრილიყო...
მისთვის ამ დილით, ამ წყნარი დღის გათენებისას,
თავის მიღება სასთუმალზე ალალი იყოს.

გაგაცოცხლოს საქმემ უნდა,
საქმემ უნდა ჩაჰკლას სევდა.
თქვა: — ხალისი დამიბრუნდა!
ამდენ ხანს რომ ლანდალ მდევდა.

გარდაცვლილი პარსკვლავები

სამყარო უკიდურესად და ასტრონომები მანძილს კილომეტრებით კი არა, სინათლის წლებით ზომავენ. სინათლის წელი ის მანძილია, რომელსაც სხივი წელიწადში გაივლის (სინათლის სიჩქარე კი, მოგეხსენებათ, წამში სამასი ათასი კილომეტრია). ვარსკვლავთა უმრავლესობა ჩვენგან ათი, ასი და ზოგი მილიონი სინათლის წლით არის დაშორებული. ეს ნიშნავს, რომ ბევრია ისეთი ვარსკვლავი, რომელიც ათი, ასი და ზოგი მილიონი წლის წინათ ჩამქრალა, ჩვენ კი მხოლოდ იმ სხივს ვხედავთ, რომელიც დედამიწისაკენ გარდაცვალებამდე გამოუგზავნია.

ეს კოსმოსური ჭეშმარიტება უნებლიეთ ორ ურთიერთსაწინააღმდეგო პარალელს გაგვავლებინებს კაცს:

ცხოვრებაში ჭერ კიდევ ხშირად წააწყდები ადამიანს, რომელსაც ოდესღაც რაღაც ფასიანი შეუქმნია, მაგრამ ეს შორეულ წარსულში იყო, დღეს კი იგი არაფრის მაქნისია, სულიერად და გონებრივად გამოფიტულა და, იმ ჩამქრალი ვარსკვლავისა არ იყოს, დიდი ხნის წინათ შექმნილი სხივთა ბადით გვატყუებს მხოლოდ.

მადლობა ღმერთს, ისეთებიც არიან, რომელთაც სიცოცხლეში ჩადენილი, ჭეშმარიტად დიდი საქმე და სიკეთე გარდაცვალების შემდეგაც აცოცხლებს — იმ შორეული, მილიონი წლის წინათ ჩამქრალი ვარსკვლავის დარად.

წყალწაღებული სასახლე

ზამთარმა ვერცხლისფრად მოქედილი და მოოჭვილი თვალწარმტაცი სასახლე აიშენა. დიდებული, ხოტბამიუწვდომელი სასახლე გამოვიდა. არაფერი სჯობდა მის ხილვას. სამოსშემოძარცული ხეები გაყინული ბრჭყვიალა ფიჭვებით შეამკო, მდინარეები მოსარკა, მთებს, ხევებსა და ველებს ქათქათა თოვლის შალითა გადააკრა, ეზოები მოზარდების ურიაშულით აავსო.

ერთ ღამეს კი რაღაც ეშმაკი შეუჩნდა, ჭერ თოვლში აქა-იქ გაურია წყალი, მერე კოკისპირული წვიმა წამოუშინა და თვეობით ნაშენი და ნალოლი-ავები სულ რაღაც ღამის განმავლობაში ტალახის ღვართქაფებად ჩაიტანა ზღვაში.

ახეა ზოგი კაციც: წლობით კარგა და კეთილ საქმეს აკეთებს, მერე ერთ სისულელეს ჩაიდენს და ყველაფერს წყალს გაატანს.

სწორი გზა

ერთ ქართულ სუფრაზე მომავალი მიდდევრძელეს: წინ ლარივით სწორი, კეთილი გულივით ფართო და მზესავით ნათელი გზა გიღვებს, ბოლომდე გამართულად და წაუბორძიკებლად გვეღოსო.

კეთილი სურვილია, ღვთის მადლმა, მაგრამ...

ერთმა ჩემმა მეგობარმა შარშან მანქანა შეიძინა. ჰოდა, ამას წინათ სწორედ სწორსა და ფართო გზატკეცილზე დაიმსხვრა — ტელეგრაფის ბეტონის ბოძს შეასკდა — იმ უბედურს საჭესთან ჩასძინებოდა.

... ახეა, სწორმა გზამ ყურადღების მოდუნება იცის. მე ჩემდათავად ოდრო-ჩოღრა, მიხვეულ-მოხვეული, აღმართ-დაღმართიანი და ხიფათით სავსე გზა მიჩვენებია: ასეთ გზაზე სვლა უფრო საინტერესოა, თანაც სულ ფხიზელი და დაძაბული ხარ.

ცხოვრების აზრი კი სწორედ განუწყვეტელ სიფხიშლეშია.

ჩ რ დ ი ლ ი

დადგება გვიანი შემოდგომა და ტყვიისფერი და ტყვიასავით დამძიმებული ციდან ფერგამკრთალ დედამიწაზე რუხი გამჭვირვალე ბინდი ჩამოწვება და ყველაფერი — ადამიანები, ხეები, ღრუბლები, სახლები — მყისვე კარგავენ ჩრდილს.

საშინელება საკუთარი ჩრდილის დაკარგვა: თითქოს შენი მეორე „მე“ წაგართვესო, სწორედ ის, ვისაც მარტოობისას გულს გადაუხსნი და ჩუმი ჩურჩულით ესაუბრები ხოლმე.

მეორე „მე“ ყოველ ნორმალურ ადამიანს თან ახლავს... ამიტომაცაა საშინელება ჩრდილის დაკარგვა.

საცოდავია შუა მინდორში ეუღლად მდგარი ხე, რომელსაც ახლომასლო თანამოძმე კი არა, საკუთარი ჩრდილიც არ გააჩნია!

უჩრდილობა კი უფრო სხვა მხრივია საშინელი — იგი, ამავე დროს, უმჯობესაც ნიშნავს.

უქსები

ნოდარ ჯალაღონია

კაი ყმა

ვალერიან საღლიანს ცრემლები ვეღარ დამალე, სვანეთის მთებს რომ მოსცილდი. ჩანჩქერებს — მთების დალაღებს თურმე სიზმარში კოცნიდი. როს ჩაგესმოდა ივლისში შენი ენგურის ჭიხვინი — სვანეთის უბანს თბილისში შემოირბენდი ჭიხვივით. იყავი ნაღდი ბიჭი და სიტყვაც მკლავით გიჭირდა, გერჩოდა გულიც, ნიჭიც და თბილისშიც რაღა გიჭირდა. მაინც წუხდი და ბორგავდი, ვერ ნახე სულისწამალი, ფიქრში ხარივით ლოკავდი შხარას მთას როგორც ქვამარილს. და როს დასრულდა ცხელ-ცივი წლები ფიქრებში ნათევი, მთას ამირანის ცეცხლივით წაუღე სიბრძნის ნათელი. განა ჩვენს მამულს მოშლია მაგის მუხლი, მზერა არწივის, სვანეთი ციხე-კოშკია, შენ მეციხოვნე ამ ციხის. ტყვიას გავს ჩასმულს ბეჭედში, ის, ვინც ნამდვილი სვანია, შენი კლდესავით ბეჭებიც სამშობლოს გაღავანია. თუმცა მთებს ჩხერავ რქებითა, შენს თბილისს თუ დასჭირდები — ჩამოგვავდები მთებიდან შენი ბოკვერა ბიჭებით!

თითნულ დი

მზე — თითნულდის ოქროს თმები, შეკრულია თეთრი ნისლით. ფეხის წვერზე დგანან მთები, სილამაზე ნახონ მისი. შორი წვით და შორი ცქერით ღამის დადნეს მყინვარწვერი. იალბუზი კვდება ჭავრით და გარს უვლის ღრუბლის ჭარით. აილამა ლაკვარას და გულმა თოგორს ეცილებდა. უშბა განზე გამდგარა და გულში ჩუმად ეცინება.

შინდისი

ინდი-მინდი, ფერად შინდი, თითქოს სულში იღვრება, ცისარტყელა დგას და მინდვრის ფერით ტუჩებს იღვბავს. ინდი-მინდი, ფერად შინდი! ფიქრიც შინდის ფერია, სიმღერაში ხმაა შვიდი, ცასაც შვიდი ფერი აქვს. ინდი-მინდი, ფერად შინდი, შინდისფერი შინდისი. ამ ცახავით იყოს მშვიდი, ნეტავ ყველას სინდისი!

სხელ-სხელი ამაბაი

მსოფლიოს სოპორკუბისათვის მთელი მსოფლიოს ზოროლოგაუ-რი პარკებისათვის საჭირო თეთრ დათვებს მხოლოდ საბჭოთა კავშირში — ვრანგელის კუნძულზე იჭერდნენ. ეს კუნძული ახალახან ნაკრძალად გამოცხადდა.

თეთრი დათვების დაჭერა იწარმოებს ფრანც-იოსების მიწაზე, სადაც უკვე ჩაივდა მონადირეების პირველი ექსპედიცია.

ამ ექსპედიციამ უახლოეს ხანში 25 თეთრი დათვი უნდა დაიჭიროს.

ქვიშის საჩუქარი

მოსკოვში, მომავალი ოლიმპიადის ერთ-ერთი ნაგებობის მშენებლობის დროს ამას წინათ ქვიშა დასჭირდა.

ქვიშა სასწრაფოდ მიიტანეს მახლოებელ ხეობიდან.

გაცრის დროს ქვიშაში იპოვეს ვერცხლის ჭიქა, რომელიც ოქროს მოსართავებით იყო მოჭედილი.

იმ ადგილებში, საიდანაც ქვიშა მოიტანეს, იპოვეს ვერცხლის ძველბურთი სამოვარი, ოქროს პორტსიგარი და სხვა ძვირფასი ნივთები.

მალე მიიღებენ

მომე უკრაინაში ამას წინათ გამოუშვეს პირველი სპეციალური ხომალდი, რომლის დანიშნულებაა დაბინძურებული ზღვის ზედაპირის გაწმენდა ნავთობის ნარჩენებისაგან.

ასეთ ხომალდებს მალე საჭირო რაოდენობით მიიღებენ ჩვენი ქვეყნის საზღვაო პორტები.

სიხსლე საპარტიუპერია წარმოებაში

მოდღაველმა სპეციალისტებმა სამრეწველო ნაწარმის ნარჩენებისაგან ამას წინათ დაამზადეს ნივთიერება, რომელსაც დიდი გამოყენება ექნება საპარტიუპერია მრეწველობაში.

ამ იაფფასიანი ნივთიერების ნაცვლად აქამდე პარტიუპერიაში იყენებდნენ ძვირფას ნივთიერება ამბრას, რომელსაც კაშალოტიდან იღებდნენ.

ახლა 40 დასახელების ხუნამონა და ოდეკალონის რეცეპტებში მთლიანად ამოღებულია ამბრა, რაც მნიშვნელოვნად გააიარებს საპარტიუპერია პროდუქციას.

მცენარეთა დასაცავად

ტაშკენტის მახლობლად აგებულ სპეციალურ საწარმოში ამას წინათ დაიწყეს სასარგებლო... მწერებისა და მღრღნელების მოშენება.

მცენარეთა დაცვისათვის მათ მალე ფართოდ გამოიყენებენ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში.

სასარგებლო მწერები და მღრღნელები საიმედოდ გაავლებენ მუსხრს მცენარეთა მავნებლებს.

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

ერთი ცოცხალი თავი

ილია რურუა

მოთხრობა

ვუძღვნი აკადემიკოს ნიკო კეცხოველს

ჩვენს უბანში, რაღაც მიწისქვეშა კატაკომბში, ერთი უღალატო წისქვილია გამართული.

იმ დღეს რიგში ჩვეულებრივზე მეტი ხალხი დამხვდა, უმეტესად პენსიონერები.

თერთმეტი საათი ხდებოდა, მეწისქვილე კი არ ჩანდა. საფუძვლის მეორედ მოტანას ისევ დაცდა ვამჭობინე. გავდექი გვერდზე და ვათვალიერებ რიგში მდგომთ. თავიდანვე თვალში მომხვდა ერთი ტანთხელი ბერიკაცი. იღვა თავისთვის, ფიქრებში წასული. ოდნავი სურვილი არ ეტყობოდა, ჩაბმულიყო პენსიონერების საუბარში, რომლებიც, ჩვეულებრივ, საერთაშორისო საკითხებს არჩევდნენ. ბერიკაცს წყლისფერ ბაც თვალბეჭდში რაღაცნაირი რიდი ჩაღვამოდა. გამორჩეული, აშკარად სოფლური იერიოთა და მარტოსულაობით უცხო, ფრთამოტხნილ ფრინველს მოგავგონებდათ. მაზარასავით ჩამოგრძელებული, გამოხუნებული შავი პალტოს დანაოჭებული საყულო წამოეწია, „მოლონით“ შეკრული ფეხსაცმლის ყელიდან უჩანდა შინაქსოვი შალის თეთრი წინდა, რომელშიც შარვლის ტოტები ჩატანებინა. წავის ბამბურა, აქა-იქ ბეწვგაცილი ქუდის ყურები საყულოს გარედან ეპარტყუნებოდა და მოხუცის ისედაც გამხდარი, სახე სულ გაღეული ჩანდა.

უღიმღამო ფარდულის კედლის გასწვრივ კურდღლებივით ჩაყუნცულიყვნენ ხელჩანთები, ტომრები, ტობრაკები. ბერიკაცს, არ ვიცი რატომ, ილლიაში ამოეჩარა პატარა ტომსიკა, რომელსაც დროდადრო, მხრის შეტოკებით შეიმჩატებდა ხოლმე. გამოსაუბრება დავაპირე, ჩვენს წინ ნაცრისფერა „ვოლგამ“ რომ დამუხრუჭა და ხალხიც აჩოჩქოლდა.

- მობრძანდა!
- იქნებ, გვეშველოს!
- მე ამ კაცის შემდეგ ვდგავარ.
- ღმერთმანი პირველად გხედავ...

ორმოციოდ წლის, საშუალო ტანის მეწისქვილემ „ვოლგის“ კარების ჩასაკეტი ღილაკები ხელის მოფათურებით შეამოწმა და მანქანიდან ღინჯად გადმოვიდა.

- ხალხი ჩუმად, მოთმინებით ადევნებდა თვალს.
- რას ჩაიგდეთ ენა! — აფეთქდა უცებ პენსიონერი, რომელსაც ხელოვნური ტუპის თბილი ქურთუკი ეცვა, — ამას ვეტყვიო... ხალხი ხართ თქვენ?!
- რა უნდა მითხრათ?! — ნირიც არ შეუცვლია მეწისქვილეს, მანქანის კარი გაჯახუნა და წისქვილის გასაღები რომ ეპოვნა, ხელში ფოლადის პატარა რგოლი შეათამაშა, — ვერაფერსაც ვერ მეტყვიო... ზომ არ გგონიათ, ვსიერობდი ან საღმე სასაუშეში ვიჭექო... სამმართველოში გახლდით, მეხუთედ გადაგირჩინეთ წისქვილი დახურვას.. ბიჭოსი.. მადლობის მაგიერია?!

პენსიონერები და ქალები კვლავ აუაყანდნენ. — როგორ, აბა სიმინდი ვერ უნდა დაფუჭვით ჩვენს გემოზე? სულ ორად ორი წისქვილი შემორჩენია ამოდენა ქალაქს და იმხაც არ გვანებებენ? — ეგ არის თქვენი მეწისქვილე? — მომიბრუნდა მოხუცი, რომელიც გაკვირვებული მისჩერებოდა კოსტიუმში გამოჭიმულ კაცს.

- დიან, ბატონო!
- რას არ მოესწრება ადამიანი?!

მეწისქვილემ წვალბით გააღო ჩაუანგებული მძიმე ბოქლომი და ხალხი ჯაჭგურ-ჯაჭგურით მიაწ-

ყდა კარს — მიწის სიღრმეში ჩაშვებულ ხის მოყანყალბულ კიბეზე ჩაირგდა. უმაღლ გამოჩნდნენ ურიგოდ გაძრომის მსურველნიც. წესრიგის დაცვა ვითავე და დოლაბთან ხალხი რომ არ შეჭგუფულიყო, ქვედა კარებთან დავდექი.

ბერიკაცი რიგში მეხუთე აღმოჩნდა. იგი გაცივებული შესცქეროდა ძველებური თხელი აგურით ამოშენებული მიწისქვეშა სადგომის კედლებსა და თადებს, რომელთაც აქა-იქ შემორჩენოდა ნესტით დაღრღინილ-დაფორაჭებული ბათქაში. საიდანაც წვეთავდა. ირგვლივ სულის შემხუთავი მძაღ სუნი იღვა. მავთულის ბალურის ქვეშ მოქცეული ერთადერთი, აბლაბუდაშემოხვეული ელექტრონის ნათურა ძლივს ანათებდა იქაურობას. სიმართლე თუ გინდათ, წისქვილი, მართლაც, დასაკეტი იყო.

თითქოს ფიქრს მიმიხვდაო, მოხუცი კვლავ გამოშვლაპარაკა:

- აბა ერთი ეგ არი! — და მაშინვე დახდინა ნაღველგარეული ხმით, — სოფელში შვიდი წისქვილი გვედგა... კობტები, ღამაზები... წყალი სულ შუშუნ-შუშუნით გასდიოდა... ემ!
- წყლის წისქვილის დრო წავიდა, ძია კაცო!
- ვითომ ეგა სჯობია?! — ხელი ჩაიქნია ბერიკაცმა.

ამასობაში მეწისქვილემ კიბის ძირთან მოფიცურულ ჯისურში ტანზე გამოიცვალა და ფქვილში ამოგანგლული შავი ხალათით გამოგვეცხადა. თავზე კოკარმოჩვარული ხინკალა ქუდი ჩამოფხატოდა. გრძელ მუნდშტუკში გარჭობილ „პრიმას“ აბოლებდა. სანიტარული წესებისადმი ერთგულების დასტურად ჭერ პატარა, გაღეული ცოცხით იქაურობა ამტვერა, შეშდეგ კი, როცა პირველმა კლიენტმა სვიმირაში სიმინდი ჩაახჩრიალა, ელექტროფართან მივიდა და სახელური ჩართო. დოლაბი ერთი შეხტა, შეინძრა და უგემურად არახჩანდა.

ბერიკაცის რიგი მალე მოვიდა. იგი მარჯვედ ავიდა სამსაფეხურიან კიბეზე და ვიდრე ტომსიკას თავს აუხსნიდა, მეწისქვილეს უჩინად გასძახა:

- ხორბალია. წვრილად გაუშვი!
- ხორბალიო, ატყდა, მაგრამ რა ატყდა: ჩვენ ყველას სიმინდი მოგვცანია, შენ კიდე შენი ხორბლით ამღენი სიმინდის წახდენა გინდაო. ელექტრონით დაფქვილი ისედაც არ უქნია ღმერთს, ხორბლის ნაფქვავზე რაღა იქნებაო.
- ხორბალზე ამბობთ, ხალხნო?! — გაცივებისაგან მოხუცს ქუთუთოები აუპარპალდა.

— პურის ფქვილის მეტი მაღაზიებში რა ყრია! — კიდევ ერთხელ აიფოფრა ქურთუკიანი პენსიონერი.

— იმ... შენც ამბობ რა! — ბერიკაცმა ტომსიკას მარჯვედ მოუბოჭა თავი და ხელში შეათამაშა, — ეს თქვენ უბრალო ხორბალი არ გეგონოთ... თავთუხია, შვილოსა, თავთუხი... მახობელგარეული!

— ვითომ ტრიცატკასა სჯობია? — იჩხავლა ვიდაც ხნიერმა ქალმა და თავისი მძიმე ჩანთა გაგულისებულმა წინ მიარჩია.

— აბა, პურის გემო შენა გცოდნია, ჩემო დაო! — ნიშნის მოგებით, მაგრამ ტუბილად ჩაიცინა მოხუცმა, — თავთუხი ძველთაგანვე ხორბლის შეფედ დაუღვენიათ... ჩვენი ნიკოც აგრე ბრძანებს... რა ვუყოთ რო ახლა აგრონომები აღარა სწყალობენ... მალე მეც გავუყვები გზასა და არა ვნახვ, მაგის მომყვანი ვინ გეყოლებათ?!



მხატვარი თინატი სამსონაძე

- აი დარდი!
- ჩამოდი!
- მორჩი, თუ კაცი ხარ! — დაყარეს ყოველი მხრიდან.
- ერიშა! — ბერიკაცმა უღონოდ ჩამოუშვა ხელები.
- რამდენიმე კაცი ერთბაშად გაძვრა წინ.
- მიგვიშვი!
- ხომ ხედავ, გვაცდენ!
- თუ მაინცა და მაინც, ბოლოს..
- ქურთუკიანმა პენსიონერმა ბერიკაცი გვერდზე მიწია და სიმინდით სავსე ტომარა სვიმირაში ჩააპირქვავა.
- ღერღილი!
- გაოგნებული ბერიკაცი კარგა ხანს იღვა სვიმირთან, შეშდეგ ტომსიკა აიღო და კედლის გასწვრივ დაღვებულ ძელსკამს მიაშურა.
- რათა, ხალხნო, რათა? — ბუტბუტებდა იგი, — აკი ვითხარით, თავთუხია-მეთქი. იმოდენა სოფელში მე ერთს მომყავს ცოტა რაღაც... ეგეც ვერ უნდა დავფქვა?!
- მეწისქვილეს შეებრალა და გასძახა:
- დამელოდე, ძია კაცო... რიგი მალე ჩამოთავდება!
- ბერიკაცმა ტომსიკას თავი გადაუხსნა, ხორბალს ერთხანს თვალი ჩაუშტერა და შემდეგ ადგილზე შეწრიალდა:
- შეხედეთ, კარგად შეხედეთ, ამ დალოცვილსა!
- ტომსიკა ხან ერთს, ხან მეორეს სახესთან მიუტანა, — განა გატყუებთ, თქვე უღმერთოებო... ნამდვილი თავთუხია, ნანეთ!
- ბერიკაცი უცებ შებანცალდა. შესაშველებლად ხელი გავუშვირე, მაგრამ დამასწრო — ხვნიშით დაეშვა სკამზე. თავგადასხნილი ტომსიკა ფრთხილად მოიღო გვერდზე.
- ღირსებაყრლი ხორბლის მეფე რიგის ჩამოთავებას ელოდებოდა.

კვლევი თუ ჩივი?

ვეფხვი ოდიტორი საქართველოს ფაუნის წარმომადგენელია. ახლო წარსულში საქართველოს ტერიტორიაზე ვეფხვი ფართოდ იყო გავრცელებული. გაზეთ „დროებში“ ცნობით ბეჟათ-უბნის „სტანციაზე“ ერთი გლენი ვეფხვის ტყავს ჰყიდდა (№ 15, 20. 1—1879). გაზეთ „ივერიის“ ცნობით ქვედა აჭარაში, სოფელ ნაშლისაში უნახავთ ორი ვეფხვი. ერთი იქვე მოუკლავთ, ხოლო მეორე გაქცეულა და ბათუმთან ახლოს მოუკლავთ (№ 47, 6—III—1887). გასული საუკუნის მიწურულს, 1898 წელს, ვეფხვი მოუკლავთ ბზიფის ხეობაში. ვეფხვი მოუკლავთ 1950 წელს წანაურის რაიონში, ხოლო 1954 წელს — ზედაზნის ტყეში და ა. შ.

აღსანიშნავია აგრეთვე ქართული ხალხური სამონადირეო ტრადიცია ვეფხვის შესახებ. ე. ვირსალაძე მონადირეობასთან დაკავშირებით ფოლკლორულ მასალას თემატურად ექვს ჯგუფად ჰყოფს. მესამე ჯგუფში იგი ასახელებს ნადირობის სხვადასხვა სახეობასთან დაკავშირებულ ლექს-სიმღერებს და თქმულებებს, როგორცაა: ჯიხვზე ნადირობა, დათვზე ნადირობა, ვეფხვზე ნადირობა, ირემზე ნადირობა, ტახზე ნადირობა, მგელზე, კურდღელზე ნადირობა და სხვ. (ე. ვირსალაძე, ქართული სამონადირეო ეპოსი. თბ., 1964.)

ყველა ზემოთ დასახელებული ნადირი საქართველოს ფაუნის წარმომადგენელია. ქართული სამონადირეო ეპოსი არ იცნობს ჯიხვზე ნადირობას, ისე როგორც არ იცნობს ლომსა და სპილოზე ნადირობას.

დავით გოგობაშვილის ცნობით, „ხევსურთა შორის ნადირობა მეტად საპატიო და პოპულარულ საქმიანობად ითვლებოდა“. ხევსურეთში გავრცელებულ მტაცებელ ნადირთა და ფრინველთა შორის ივტორი გამოჰყოფს ვეფხვსა და არწივს, რომელთა მიმართ „ხევსურ მონადირეთა წარმოდგენა ტოტემის ნიშნებს ატარებს“ (დ. გოგობაშვილი. მელექციონა ხევსურეთში. თბ., 1974, გვ. 152).

ქართულ ხალხურ პოეზიაში ვეფხვზე ნადირობის მრავალი ცნობა შემონახულია. მაგალითად, ლექსში „ფაშეტილი ელგუჯა“ აღწერილია უშიშარი ვაჟაკისა და საუცხოო მონადირის ფაშეტელი მოხევის ელგუჯას დაღუპვა ვეფხვზე ნადირობის დროს. „ვეფხვსა მავალა თოლია, ჭრელია ვარსკვლავითაო...“ აღნიშნული ლექსიდან ჩანს, რომ ვეფხვი ხალხიანი და არა განივლოებიანი მხეცია. საქართველოში ძველად ვეფხვის ლაშაში, ხალხიანი ტყავი ძვირფას საჩუქრად ითვლებოდა. ხევსურული დიალექტის ერთ-ერთი ტექსტიდან როგორც ჩანს, ვეფხვის ხალხიანი ტყავი ძალზე ჰყვარებია მეფე ერეკლე მეორეს: „სისხლის წვიმის დროს, როსაც ნეფედ ყოფილ ერეკლემ, მაშინ ალუდაურ გაბურთი დაუყენებავ ნეფე ერეკლეს ყარაულად. შიბუს ჭალას: ყოფილ ყარაულად ეს ალუდაური ხამს წელს. ცულ კაც არ უშობავ გზაზედ, უბილეთოი (ვისაც, ბილეთივ არ ხქონივ), არც დილდველ, არც ხევსურ. ამ ალუდაურს ხშირად უფლავის ნეფე ერეკლესთან, ნამეტნავ მაშინ, როსაც ვეფხვს მახკლევდ. სინარულით თუ ჩაუტანდ ერეკლეს ვეფხვის ტყავს. ერეკლე ნეფეს ვეფხვის ტყავ ძალიან ჰყვარებოვ... ამ ალუდა-

ურს დღისით უნადირებავ, ღამით ყარაულად მდგარ შიბუს ჭალას. ერთხან საფარის ჩრდილში ვეფხვს შადვარდნივ ზედ. ძალიან შამადმევი ეს ვეფხვი ალუდაურს. სანამდე მეხუთე არ დაუკრავ თოფი, ვერ შაუკლავ. მეხუთე ტყვია შიგ უშობლში მოხვედრილას ვეფხვს და გადაუღვავ კლდეთაზე...“

ქართველი ხალხისათვის ვეფხვი მარტო ნადირობის ობიექტს არ წარმოადგენდა. ვეფხვი არის ფოლკლორსა და ლიტერატურაში გავრცელებული ძლიერების სიმბოლო, რომელთან შეგება და შერკინება ვაჟაკობისა და სიმაჟაცის უმაღლეს გამოხატულებად ითვლება. ვეფხვის ძალა მის ელვისებურ სისწრაფეშია, შედარებით ლომთან და ზოლებთან ჯიქთან ის მომცროა და ძალ-ღონით, ცხადია, ვერ შეედრება მათ. მაგრამ ვეფხვი ძალიან გამბედავი და მოხერხებული მოწინააღმდეგეა, ვიდრე ზოლებიანი ჯიქი. ამასთანავე მისთვის დამახასიათებელია შეუპოვრობა. ვეფხვი ზოგჯერ გაბედულად ესხმის თავს სპილოს, გამრეკსა და მდედარს. თავის ბოკვრებს იცავს იმ პირობებშიც კი, როდესაც ჯიქმა შეიძლება მიატოვოს და გაქცევის უშველოს თავს. რთულია ხალხიანი ვეფხვის გაწაფვა.

როგორც რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“, ისე ქართულ ფოლკლორსა და ლიტერატურაში ვეფხვი დანახაითებულია როგორც სწრაფი მხეცი. ქართულ საისტორიო მწერლობაში ვხვდებით ქართველების საბრძოლო მოქმედების შედარებას ვეფხვის სისწრაფესთან. ასე, მაგალითად, თამარ მეფის პირველი ისტორიოსი თავის ისტორიულ ნაშრომში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთა“ მოგვითხრობს, რომ შამქორის ბრძოლაში ქართველები მტერს ეკვეთენ „ვითარცა ვეფხვთა ფრთოსანთა“ (ქართლის ცხოვრება, ტომი II, თბ., 1959, გვ. 71).

პირველმა ქართველმა გეოგრაფმა ვახუშტი ბატონიშვილმა, რომელსაც საქართველოს ფაუნაში ვეფხვი ჰყავს დასახელებული (და არა ჯიქი, როგორც ზოგიერთი მკვლევარი უმართებულოდ მიაწერს), კარგად იცოდა, რომ ქართველის ცნობიერებაში მხოლოდ ის მშვენიერი ხალხიანი ნადირია, სილამაზის, მოზდენილობის, სიძლიერის, სიმხნევისა და სიამაყის განსახიერება, რომელიც უძველესი დროიდან საქართველოს ფაუნას თავისებურ ელფერს მატებდა და რომელსაც ხობტა შეასხა უკვდავმა შოთა რუსთაველმა. მაგრამ, ქართველისათვის, ვეფხვი მარტო ბუნების უმშვენიერესი ქმნილება არ არის. წარმოდგენა ამ ძლიერ და ლამაზ ხალხიან მხეცზე დაკავშირებულია საქართველოს კულტურასა და ისტორიასთან. ვეფხვი — ტოტემია ყველა ქართველი ტომისათვის. ვეფხვი გვხვდება ქართულ მითოლოგიაში, ხელოვნებასა და ლიტერატურაში. ვეფხვის გარეშე ძნელია წარმოვიდგინოთ არა მარტო საქართველოს ფაუნა, არამედ საქართველო, საერთოდ.

ყოველივე ამის შემდეგ, რამდენად სწორი იქნება ვეფხვს, კავკასიონის ამ მრისხანე მბრძანებელს, საქართველოს ნადირთ მეფეს, სახელი შევუცვალოთ და ჯიქი დავარქვათ?

ალექსანდრე ქუთათელაძე



რუსთაველის გამზირზე

მე საზეიმოდ გადავშლი წარსულს, როს დავინახავ ნაცნობ ფილაქანს, ისევ მოვძებნი მშვენიერ ასულს და აღარ მივცემ არსად გასაქანს.

მე კვლავ დავივლი შენს ამაყ სივრცეს, სადაც თვალეში ეტრფიან ფერებს, ეს სილამაზე ათასებს მისცეს და ათასებმა ეს შეიფერეს.

მე გადავლანავ შფოთიან გამზირს, გულს გამიხსნიან წარბთა მშვილდები, ისევ იფეთქებს ოცნება ნაწი და ათროლოებას ვერ ავცილდები.

მე მიხარია, ჩვილი ყრმა ჩრდილში მოსიყვარულე ხმით რომ ტიტინებს და მოელვარე ფერთა დიმილში თრთოლვით დავწვდები ტურფა ბილილებს.

საუკუნეთა სუნთქვას ჩვეული, ჩუმად იღვიძებს ოპერის ბალი და ყველასაგან გამორჩეული სხივებს ირეკლავს ქაშეთის თალი...

და როს გავხედავ კვლავ მამადავითს, მე აღმეძვრება ფიქრთა სიონი — ამ ფილაქანზე აღვამადა ნაბიჯს ღამენათევი გალაკტიონი.

ნუ მომაგონებ წარსულის ნაღველს, ნუ გამახსნიებ ტანჯვა-წამებას, მე ვაღვლევრძელებ ყველა იმ ქართველს, ვინც დაიშვილდა აქ უკვდავება.

გული სიამით დაიწყებს ძგერას, როცა შევიგრძნობ ნაცნობ ფილაქანს, მე გამოვიჭერ შენს ბავშვურ მზეერას და აღარ მოგვცემ არსად გასაქანს!

გახსოვს იმ ღამით

გახსოვს იმ ღამით დაბურულ ქუჩას რომ ანათებდა წმინდა სანთელი და გვადნებოდა სახეზე ურჩად თოვლის ფანტელი, თეთრი ფანტელი?!

გახსოვს ლექსების ხატოვანება და უსასრულო ნაფხურები? იმ სინარულს და ადფრთოვანებას ნურასოდეს ნუ დაემლურები.

ო, დღესაც უხვად მოსულა თოვლი, ზამთარმა ჩუმად გაადო კარი და კვლავ შიტაცებს ქუჩების მოვლის სურვილი — მარად დაუღეგარი.

დამძიმებულან თეთრი ხეები, კაეშინიანი აღარ ვიქნები და გამათობენ მოგონებები, როგორც ცისფერი ნაწი ფიფქები...

ვისხენებ ისევ, დაბურულ ქუჩას რომ ანათებდა წმინდა სანთელი და გვადნებოდა სახეზე ურჩად იმ ნადრევი თოვლის ფანტელი.

ვასტანა გოგინიაშვილი

გზიკუთხული



დიდ სამამულო ომში ნაბრძოლ ვაჟაკს ლენინის ორდენი, ოქტომბრის რევოლუციის ორდენი და თვრამეტი საბრძოლო მედალი უმშვენებს მკერდს.


იგი მე-18 სადესანტო არმიის მე-9 გვარდიული ბრიგადის ოცეულს მეთაურობდა მცირე მიწაზე.

სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულმა, დიდი ოქტომბრის მონაპოვრის დაცვამ, კიდევ უფრო ნათელი მომავლის უდრეკმა რწმენამ, თითოეულ მცირე-მიწელთან ერთად, ჩვენი თანამემამულე იროდი შენგელიაც გმირული შემართებითა და მტრისადმი დაუოკებელი შურისძიების გრძნობით აღავსო.

ახლა, როცა სამშობლოს უღრუბლო ზეცა დაჰკაშკაშებს, როცა საბჭოთა ხალხი შემოქმედებითი შრომის ფერხულშია ჩაბმული, ნაომარი ვაჟაკი ხში-



საცაა კრება დაიწყება.



3030 კიკაძის ფოტო. გულითადი საუბარი.

ომის დღეების გახსენება.



რად შემოიკრებს ხოლმე გარშემო თავის თანასოფლელებს. შემოიკრებს და ერთხელ კიდევ დაწვრილებით აცოცხლებს იმ გარდასულ დღეთა გმირულ ეპიზოდებს, რომლებმაც ლეგენდად აქციეს მცირე მიწელთა უკვდავი საბრძოლო დიდება.

იროდი შენგელია პროფესიით აგრონომია. იგი უკვე მესამე ათეული წელია, რაც სათავეში უდგას ჩხოროწყუს რაიონის სოფელ საბუმეს კოლმეურნეობას.


ამ ხნის მანძილზე, ვინ მოთვლის, როგორ იზარდა და განმტკიცდა ერთ დროს პატარა, ჩამორჩენილი კოლმეურნეობა. ეწვიეთ, მოინახულეთ მისი ხავერდოვანი პლანტაციები, მოშრიალე ბაღები, ყანები, ფერმები, ნახეთ კოლმეურნეთა კეთილმოწყობილი სახლები, გაესაუბრეთ მშრომელებს და თქვენთვის ყველაფერი ნათელი გახდება.

ღიას, ნათლად დარწმუნდებით, რომ აქაურ წელგამართულ მშრომელებს მხოლოდ ერთი სურვილი ამოძრავებთ: ეს სურვილი შრომაში ახალი წარმატებების მიღწევაა, ეს სურვილი ხუთწლედის მეოთხე წლის კიდევ უფრო დიდი და სასახელო მარჯვენებლებით დაგვირგვინება.

მანია ფანჩულნიძე იროდი შენგელის ასარებს ახალგაზრდების წარმატება.



სსრ. სსრ. კ. მარჯოსი საბ. საბ. რესპუბ.



ერთ მშობელს უნდოდა, თავისი შვილი არისტოკრატისათვის შევირდად მიეზარებინა. ფილოსოფოსმა ამისათვის ჯილდოდ ხუთასი დრამი სთხოვა.

— ხუთასი დრამი?! — შეჰკოვლა მშობელმა, — მაგ ფასად ხომ ერთ მონას ვიყიდი!..

— მაშ კარგი, მაგ ფულით ერთი მონაც იყიდე და მაშინ ორი მონა გეყილებათ! — მიუგო არისტოკრატმა.

△

დიოგენს... თუმცა არავინ ემსახურებოდა, მაგრამ ერთ დროს ჰყავდა მონა, რომელიც გაექცა.

მეგობრები ურჩევდნენ, მონა მოსებნენო.

— საქმე ხომ არ გამოგლევიათ, თუ მონას შეუძლია უჩემოდ ცხოვრება, მე კი უიმისოდ ვერ გავძლებო? — მიუგო დიოგენსმა.

△

ერთ რომელს უსაყვედურეს, რომ მან თავის უმანკო, ლამაზ და მდიდარ ცოლს უბრალოდ გაანება თავი; მაშინ მან მიუთითა საყვედურის მიმცემთ თავის ფეხზე და უთხრა:

— ეს წაღა ხომ ჩინებული და ახალია, მაგრამ ჩემს მეტმა მაინც არავინ იცის ის ადგილი, სადაც მე წაღა მიჭერსო.

△

როდესაც რუტელი არ დასთანხმდა თავის მეგობარს თხოვნაზე, რომელსაც იგი უსამართლოდ სთვლიდა, მაშინ მეგობარმა უთხრა:

— რად მინდა შენი მეგობრობა, თუ ერთ თხოვნასაც არ შემისრულებთ.

— არც ჩემთვის არის საჭირო შენი მეგობრობა, რომ იგი მაიძულებს უსამართლობის ჩადენას! — მიუგო რუტელიმ.

△

ქუთაისის ბანკის კენჭის ყრის დროს ყოველთვის დიდი გაცხარებული პარტიოზა იყო. თავადი სიმონ გუგუშავა ახალი ჯვარდაწერილი იყო ერთ კანდიდატის ნათესავ ქალზე, რომელიც მოწინააღმდეგეთა დასს ეკუთვნოდა. სასტუმრო „ბათუმში“ ვილაცამ შემდეგი სიტყვებით მიმართა პარტიკემულ თავადს.

— უკაცრავად კი ვარ, მაგრამ ვგონებ, სიყალბეს ჩადიხართ, ბატონო სიმონ, გუშინ ანტონის და შეერთეთ ცოლად, ჩვენ კი კარგად ვიცით ანტონის აზრი ბანკის არჩევნების შესახებო.

— დალოცვილო, — მიუგო სიმონმა, — მე ანტონის და შევირთე და არა მისი ნათესავის აზრით.

ქვემოთა-საოთხის

ქართული
გაზეთი

საწვავს ზოგავს, გამონაგოლქვს ამცირებს

● მკიდრო ურთიერთკავშირი დაამყარეს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მანქანათა მექანიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და თბილისის ავტოსატრანსპორტო გაერთიანების კოლექტივებმა. ხელშეკრულების საფუძველზე, ინსტიტუტი გაერთიანებას უსრულებს ბევრ სამუშაოს, შეაქვს სიახლენი ავტოტრანსპორტის ექსპლოატაციამ.

მაგალითად, ინსტიტუტმა გაერთიანებას მოუმზადა ავტომატური მართვის საწვავ-გადამკეტი მოწყობილობა „ლაზ-677“ მარკის ავტობუსებისათვის. იგი იძლევა 7 პროცენტამდე საწვავის ეკონომიას, მნიშვნელოვნად ამცირებს გაზების ტოქსიკურ გამონაბოლქვს. ახალმა მოწყობილობამ წარმატებით გაიარა საწარმოო გამოცდა და ახლა იგი წარმატებით ინერგება. ამ მოწყობილობას ფართოდ გამოიყენებენ ჩვენი რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოები.

ინსტიტუტის კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ აქ დიდი სამუშაოები შესრულდა აგრეთვე ქუთაისის ავტოქარხნის დიზელის ძრავების საცდელი ლაბორატორიის შექმნისათვის. აღნიშნულ ლაბორატორიაში დამზადდება დიზელის ძრავები და ქარხანა შემდეგ გამოუშვებს მხოლოდ დიზელის ძრავიან მანქანებს.

მაგა-ზვილი მანქანის უმეჩენელები

● სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის დიდი ტრაქტორების ძრავების სარემონტო ქარხანა შეუდგა „მპჩ-5“ მარკის ვაზის სამყნობი მანქანის სერიულ წარმოებას.

ახალი მანქანა შეიქმნა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. მისი ავტორები არიან მამა-შვილი გრიგოლ და ვახტანგ პაპაევი. სამყნობი მანქანა შედგება სამი დამოუკიდებელი აგრეგატისაგან და მუშაობის პრინციპით მეტად ორიგინალურია. თითოეული აგრეგატის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებელი შემდეგია:

სამყნობი აგრეგატი ცვლაში ამყნობს ოთხი ათას ცალ ნერგს და ცვლის ოთხ კვალიფიციურ მყნობელს, შრომით დაწახარჯებს ამცირებს 49 პროცენტით, ერთი აგრეგატის დანერგვით სეზონში იზრდება 600-მდე მანეთი.

ლერწის დამჭრელ-დამკალიბრებელი აგრეგატი ერთ საათში თანაბარზომიერად

ჭრის და აკალიბრებს 2 ათას ცალ ლერწს და ცვლის ორ კაცს, მისი გამოყენება სეზონში იძლევა 500 მანეთამდე ეკონომიას.

ანალოგიური მონაცემები აქვს კვირტის ასაჭრელ მანქანას. კვირტის აჭრა ხდება თანაბრად და უფრო ხარისხიანად, ვიდრე ხელით აჭრის დროს.

მეათე ხუთწლედის ბოლოსათვის ქართველი მევენახეები მიიღებენ 3.100 ცალ სამყნობ მანქანას. ქარხანამ ამ მანქანებზე დაკვეთები მიიღო აგრეთვე აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, მოლდავეთიდან და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებიდან, მოძმე სოციალისტური ქვეყნებიდან, კერძოდ, ბულგარეთიდან, რუმინეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან.

კონსტრუქტორები წარმოებასთან კავშირში განაგრძობენ მუშაობას მანქანის სრულყოფისათვის. უახლოეს დროში მისი მწარმოებლობა გაიზრდება 1,5-2-ჯერ. მიმდინარეობს აგრეთვე მანქანის მოდერნიზაცია ხეხილის ნერგების მყნობისათვის.

ზაოგავს აზროგან... დატბორვით

● ქართველმა მელიორატორებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებთან ერთად, შემუშავეს კოლხეთის ჭაობიანი მიწების ათვისების ახალი მეთოდი, რომელიც მაღალ ეფექტს იძლევა.

აქ ჭაობებს აზრობენ დატბორვით; ჭაობიან ადგილებზე გარკვეული დროით უშვებენ მდინარე რიონის წყალს. მას სისტემატურად მიაქვს დიდი რაოდენობით შლამი და ტოვებს მინდორში. ამრიგად, მიწა საკმაოდ იწვეს მაღლა და გამოსადეგია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაყვანად, თანაც ასეთი ამოშრობა იაფი ჯდება.

ფოთის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობაში დატბორვის შედეგად ამოაშრეს 850 ჰექტარი ჭაობი. წელს ამ გზით დაშრობილ 100 ჰექტარ ფართობზე გაშენდა ლიმონის, მანდარინის, ფორთოხლის, ფეიხოს ბაღები; დანარჩენ ფართობზე გაზაფხულზე სიმინდი დაითესება, შემოდგომით კი ციტრუსების ბაღი გაშენდება.

უახლოეს ხანში ფოთის მახლობლად გათვალისწინებულია კიდევ ასობით ჰექტარი ჭაობის დაშრობა დატბორვის გზით. აქ გაშენდება ციტრუსების ახალი საბჭოთა მეურნეობა.

ჭაობების დაშრობას მდინარის დატბორვის საშუალებით ფართოდ მიმართავენ ხობის, ზუგდიდის, გალის, ლანჩხუთის რაიონების მეურნეობები და ყოველწლიურად ასობით ჰექტარი მიწა დგება მოსავლის სამსახურში.

● 1937 წელს სიცილიაში მეთევზეებმა ზღვაში დაიჭირეს კუ, რომელსაც ჯავშანზე ასეთი წარწერა ჰქონდა ამოტვიფრული: „ჩემი კუ ტოტო 1922 წლის 1 აპრილს გავათავისუფლე. მაქსიმ გორაკი“.

როგორც ცნობილია, მაქსიმ გორაკი ავადმყოფობის გამო დიდხანს ცხოვრობდა იტალიაში.

1967 წლის თებერვალში ჩრდილოეთ კაროლინის მკვიდრმა ვინმე ჯეფ ჰერმიკმა კუს ჯავშანზე წარწერა გაუკეთა და ტყეში გაუშვა.

სექტემბრის ბოლოს ეს კუ იოპამას შტატში იპოვა ერთმა ფერმერმა.

ნათელი გახდა, რომ კუმ რამდენიმე თვეში გაიარა... 600 კილომეტრი მანძილი.

პატარა ნეიტრონულ ბომბს აფეთქების შედეგად გამოწვეული გამოსხივებით შეუძლია 520 ჰექტარზე გაანადგუროს მოსახლეობის 50 პროცენტი, 310 ჰექტარზე გაიარაგოს წიწვოვანი ტყე, 170 ჰექტარზე — ფოთლოვანი ტყე.

● სასოფლო-სამეურნეო მიკრობიოლოგიის საკაფეო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სწავლულებმა ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ დაამზადეს ახალი სასუქი — რიზოტორფინი.

ამ ახალმა სასუქმა წარმატებით გაიარა გამოცდა ჩვენი ქვეყნის სასოფლო-სამეურნეო მიწებზე. სასუქი, რომელიც ტორფისა და სხვა მინარევებისგან შედგება, ათეულ ცენტნერობით ზრდის ზოგიერთი კულტურის სავსებარო მოსავლიანობას.

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში ამას წინათ გამოჩნდნენ უახლესი ტექნიკით აღჭურვილი „სასწრაფო დახმარების“ ახალი მანქანები.

ეს სპეციალიზებული მანქანები გულისა და სისხლძარღვოვანი შეტევით უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილი ადამიანების დასახმარებლად არიან გამოიზნულნი.

აპარატურა საშუალებას იძლევა მანქანაშივე ჩავატაროთ რთული დიაგნოზური გამოკვლევა, საი-

ამ ტყეების აღდგენას, სულ ცოტა, 2 საუკუნე მინც სჭირდება.

აფრიკაში მდებარეობს უდაბნო კელახარა, რომელშიც ოქროს მდიდარი საბადო აღმოაჩინეს... ჭიანჭველებმა.

მსხვილი, მდწითალო ფერის ჭიანჭველები წყლის ძებნის დროს მიწაში ღრმად თხრიდნენ დერეფნებს, ფალოდნენ ოქროს საბადოს ფენებს და ზევით ამოსვლის დროს თან ამოჰქონდათ ძვირფასი ლითონის მტკერი.

მიწის სხვადასხვა სიღრმიდან აღებულ სინჯებთან შედარებით, ჭიანჭველებში ოქროს შემცველობა ბევრად უფრო მაღალი აღმოჩნდა.

იბარნელ სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ იმ ადამიანებზე, რომლე-

ბიც უძილობით იტანებოდნენ, საძინებელ ტაბლეტებზე უფრო ეფექტურად მოქმედებს.. პაერში შეფრქვეული საძინებელი ნივთიერება.

ასეთი ახალი სამკურნალო-საძინებელი საშუალება უკვე იყიდება იაპონიის აფთიაქებში.

ღილაკზე თითის დაჭერის შემდეგ პატარა ბოთლიდან პაერში სწრაფად იფრქვევა საძინებელი ნივთიერება და ადამიანი სამ წუთში ღრმად იძინებს.

ახალ საძინებელ საშუალებას აქვს ერთი გამოუსწორებელი ნაკლი: იგი შეიძლება გამოიყენონ ქურდებმა.

ბუნებას აქვს თავისი გადახვევები: საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ დელის ზოობარკში ცხოვრობს ვეფხვი, რომელიც მთლიანად თეთრი ფერისაა; ბარსელონას ზოობარკში შეიძ-

ლება თეთრი გორილას ნახვა; ამას წინათ ტოკიოს ზოობარკში დიდადა თეთრი ჟირაფი, რომელსაც სხეულზე არც ერთი ლაქა არა აქვს.

ალსანიშნავია, რომ მეცნიერებთა სათვის დღემდე თეთრი ჟირაფი ცნობილი არ ყოფილა.

როცა ზოობარკში მცხოვრები ცხოველი საჭმელის მიღებას აკრძალავს, ეს იმის მაუწყებელია, რომ იგი შეუძლოდ არის და ტემპერატურამ აუწია.

როგორ უნდა გავუზომოთ ტემპერატურა ლომს, ვეფხვს, სპილოს, თუნდაც შავ ავასას?

ინგლისელმა სპეციალისტებმა იოლი გამოსავალი მოიხსნეს: მათ ოდნავ შეცვალეს მეტალურგთა ოპტიკური ხელსაწყო პირომეტრი, რომელიც შორი დისტანციიდან ადგენს მეტალის ტემპერატურას.

ამ მოდერნიზებული ხელსაწყოთი ცხოველებს ორსავე წამში შეიძლება გავუზომოთ ტემპერატურა.

მედოდ მოვახდინოთ პირველი დახმარების სწრაფი და ეფექტური ჩარევა.

ჟელენოვოდსკელმა ექიმებმა ამას წინათ სამკურნალო ფიზკულტურის ახალი სახე შესთავაზეს თავიანთ პაციენტებს.

ახალგაზრდა და საშუალო ხნის ადამიანებს, სხვა სამკურნალო პროცედურებთან ერთად, ყოველდღიურად ენიშნებათ ცხენით სეირნობა და ცხენის ჰენება.

მეცადინეობა, რომელიც ადგილობრივი საცხენოსნო ფაბრიკის ბაზაზე ტარდება, ქალაქ-ურორტის, ექიმთა მეთვალყურეობით მიმდინარეობს.

ალსანიშნავია, რომ სამკურნალო ფიზკულტურის ამ ახალმა სახეობამ უაღრესად სასურველი შედეგი გამოიღო.

პაციენტები მეტად მხნედ და ლალად გრძნობენ თავს, უუმჯობესდებთ გუნება-განწყობილება, ემა-

ტებათ ჰამის მალა, აღარ აწუხებთ უძილობა.

ვიტებსკის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორმა ა. დემეციკიმ ამას წინათ შექმნა სამედიცინო მოწყობილობა, რომელიც საშუალებას იძლევა უფრო ეფექტური მეთოდი შევიშუშავოთ სხვადასხვა დამწვრობის სამკურნალოდ.

დამწვრობის ადგილზე გადანერგილი ქსოვილი ამ მოწყობილობის გამოყენებით უფრო სწრაფად უხორცილება სხეულს, მალე ვითარდება და კარგად ილდგენს თავის ფუნქციას.

ლიტველმა სწავლულებმა მრავალწლიანი მუშაობის შემდეგ დაამზადეს ორიგინალური მოწყობილობა, რომლებიც უკვე ინერგება წარმოებებში.

ეს რთული აპარატურა საშუალებას იძლევა სწრაფად და ზუსტად ჩავიწეროთ ის პროცესები, რომლებიც მიმდინარეობს ცოცხალ ორგანიზმში, ქიმიურ რეაქტორებში, ბრძმებებში.

უპარკაპალი მარლანი

● არიან მსახიობები, რომლებიც ხალხის ისეთი დიდი სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობენ, არ საპირიოებენ იმის გახსენებას, თუ რით მოიხვეჭეს მათ ეს დიდება. საქმარისია მათი სახელის ხსენება, რომ უმალ თვალწინ წარმოგვიდგება მათ მიერ განსახიერებულ გმირთა მთელი გალერეა.

ასეთია მარლენ დიტრიხი. მსოფლიო კინოს ისტორიაში არც თუ ისე მრავალდ შეხვდებით მსახიობებს, რომლებმაც შექმნეს თავიანთი დროის შესაფერისი იერსახეები, დღესაც ასე ძალუძიდ რომ ეხმაურებიან თანამედროვეობას.

მათ შორისაა მარლენ დიტრიხი. მარლენ დიტრიხი, სიცოცხლეშივე ლეგენდად რომ იქცა, დღეს 77 წლისაა.

მარლენ დიტრიხის შემოქმედების საწყისი პერიოდი არაფრით განსხვავდება რევოლუციური მსახიობის ბედისაგან. 1922 წლიდან მოყოლებული

იგი გამოდის სცენასა და ეკრანზე და ათიოდე წლის მანძილზე ცამეტ ფილმში მონაწილეობს.

მარლენ დიტრიხი, როგორც მსოფლიო კინოს ვარსკვლავი, 1930 წელს „დაიბადა“, როცა რეჟისორ შტერნბერგის ფილმ „ციციფერ ანგელოზში“ გადაიღეს.

ფილმი „ციციფერი ანგელოზი“ მრავალმხრივ გახლდათ საინტერესო: იგი იყო პირველი ხმოვანი გერმანული სურათი, მასში მონაწილეობდა სხელგანთქმული ემილ იანინგისი, მარლენ დიტრიხისა, რომელიც პრემიერამ მანამდე ყველასათვის უცნობი ახალგაზრდა მსახიობი ქალი კინოს მოყვარულთა კერადა აქცია.

მარლენ დიტრიხის მიერ ამ ფილმში შესრულებული ლოლა-ლოლას იერსახე საბუნდამოდ შევიდა კინოს კლასიკაში.

გერმანიასა და მთელს ევროპაში გაისმოდა ფირფიტაზე ჩაწერილი ლოლა-ლოლას სიმღერა სიყვარულ-

ზე. პარიზში კაფეც კი გახსნეს „ციციფერი ანგელოზის“ სახელწოდებით.

მარლენ დიტრიხის შესახებ ჰემინგუეი წერდა: „მას სხვა რომ არაფერი ჰქონოდა, გარდა ამ ხმისა, მისი დიამეტრი და ჩვენი გულს.“

1933 წლიდან დიტრიხი გერმანიას გაეცალა და მას შემდეგ დიდი ხნის მანძილზე თავისი კინოკარიერა პოლივულს დაუკავშირა. აქ კიდევ უფრო ფართოდ გამოჩნდა მისი ნიჭის მრავალმხრივობა, მისი შემოქმედებით დიაპაზონი. ვინ მოთვლის, რამდენ ფილმში მონაწილეობდა რამდენი დიამეტრი იერსახე შექმნა.

მარლენ დიტრიხი, როგორც მტკიცე ანტიფაშისტტი, მეორე მსოფლიო ომის წლებში ესტრადაზე გამოდიოდა ანტიფაშისტური პროპაგანდით. მან ჯარისკაცებით გაიარა ომის გზები. იგი საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერია.

საბჭოთა მაყურებელი ამ შესანიშნავ მსახიობს გაეცნო მისი ორი

გვიანდელი ნამუშევრით; ესენია: „ნიუნბერგის პროცესი“ და „ბრალდების მოწმე“.

დიტრიხი უკვე დიდი ხანია პარიზში ცხოვრობს. ბოლო წლებში თითქმის მხოლოდ ესტრადას უთმობდა დროს. თითქმის მისი მოლოდინობა კინოში დამთავრდა. მაგრამ აი, ახლანდელი ცნობილი გახდა, რომ რეჟისორმა დევიდ ჰემინგუემ დიდი მსახიობი ქალი, მიუხედავად ხანდაზმულობისა, კვლავ მიიწვია ფილმში, რომელშიც იგი გერმანელი ბარონესის როლს ასრულებს.

მარლენ დიტრიხმა ბევრი რამ ნახა და ვანიცადა, ამიტომ, რომ საზოგადოება მოუთმენლად ელის მოვლენათა წიგნს, რომელსაც იგი წერს. ეს იქნება გულწრფელი მონათხრობი მის მიერ განვლილი დიდი გზის, კინოს, მეგობრების შესახებ; მათ შორისაა ჰემინგუეი, რემარკი, როსელინი, დუგლას ფერბენჯი, კოკტო, ქერარ ფილიპი და სხვ.

უხსოვთი სპორტული აპეტიტი

რობერტ ფიშერის აზრით

საქართველო
სპორტული

ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთ-ერთმა ფირმამ ხელმოცარული მეთევზეებისათვის, რომლებსაც ერიდებათ მეზობლების თვალწინ შინ ნადავლის გარეშე დაბრუნება, ამას წინათ გამოუშვა... პლასტმასის ხელოვნური თევზები.

ხელმოცარული მეთევზეებს შეუძლიათ შალაწიაში შეიძინონ ხელოვნური თევზები, რომლებიც გარეგნობითა და სუნითაც კი თითქმის არაფრით არ განსხვავდებიან ნამდვილი თევზებისაგან.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჭადრაკის იმ მოყვარულთათვის, რომლებსაც ხუროთ ბუნების წიაღში შეერკინონ ერთმანეთს, ამას წინათ დაამზადეს გვიანტური ჭადრაკი.

ჭადრაკის დაფა 10 კვადრატული მეტრი ფართობისაა, ყოველი ფიგურის სიმაღლე კი 50 სანტიმეტრია.

ახალი წლის საზეიმო დღეებში იაპონიაში იმართება... მენანძრეთა პარადი.

ამ პარადზე მენანძრეები შეკრებილ ხალხს უჩვენებენ თავიანთ აკრობატულ ხელოვნებას.

ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთმა ელექტროკომპანიამ ურჩი გადამხდელებისათვის გამოუშვა სპეციალური ქვითრები.

თვის ბოლოს ეს ქვითარი აუტანელ არასახიამოვნო სუნს უშვებს და გადამხდელს აიძულებს დროზე დაფაროს დახარჯული ელექტროენერჯის გადასახადი.

ბავარიის (გფრ) დასავლეთ გერმანიაში პირველი ადგილი უკავია... ლუდის მოხმარებაში.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მშრომელთა ხელფასის ანაზღაურებაში ბავარიას უკავია... უკანასკნელი ადგილი.

დასავლეთ გერმანიაში ერთმა საქმოსანმა დიდი რაოდენობით გამოუშვა ქალის ბლუზები, რომლებზეც გამოსახულია რთული ქიმიური და მათემატიკური ფორმულები.

ბლუზა-შპარგალეებზე დიდი მოთხოვნილებაა სტუდენტებში.

კალიფორნიის ერთ-ერთ მეფრინველეობის ფერმაში გამოყრულია ასეთი წარწერა: „ფრთხილად, ფერმაში ავი მამალია“

ფერმაში ამაყად დააბიჯებს უზარმაზარი მამალი, რომლის წონა... 10 კილოგრამია.

მამალმა უკვე სიკვდილის პირამდე მიიყვანა ორი კატა და ფეხი გადაუტეხა ერთ ძაღლს.

ამერიკის ზოგიერთ თეატრში დაქირავებული ჰყავთ სპეციალური პირები, რომლებსაც „ბრავოს“ ძახილში აძლევენ 5 დოლარს, ჩვეულებრივ აპლოდისმენტში 15 დოლარს, ხანგრძლივში — 20 დოლარს.

● შევიცარიელმა სპორტულმა ჟურნალისტმა ივ კრუსხაარმა მოახერხა, შესვედროდა მსოფლიოს ექს-ჩემპიონს რობერტ ფიშერს, რომელიც 1972 წლის სექტემბრიდან განდევნილ ცხოვრობს, ყოველ შემთხვევაში, პრესის წარმომადგენლებს ახლოს არ იკარებს. ამის შემდეგ კრუსხაარმა გამოსცა ფიშერის გამოთქმების კრებული. აი, ზოგიერთი მათგანი:

„მე მჭივია რობერტ ჯეიმს ფიშერი, მაგრამ მეგობრები და პიუნები ამჯობინებენ, ბოში მიწოდონ“.

კითხვაზე, მართალია თუ არა, რომ მას ბანკში ორი მილიონი დოლარი აქვს, ფიშერი მითხრობს:

— წარმოდგენა არა მაქვს, ვიცი მხოლოდ, რომ მაქვს 17 კოსტუმი და 5 წყვილი წინდა.

მას შემდეგ, რაც აშშ-ს ექს-ჩემპიონმა ქალთა შორის ლიენმა გამოსცა წიგნი „ბოში ფიშერი — ჭადრაკის გენიოსი“, კრუსხაარის კითხვაზე, რას იტყვით ამ ნაშრომზე, მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა თქვა:

— რა თქმა უნდა, მე გენიოსი ვარ, მაგრამ ეს ქალების ჭკუის საქმე არ არის.

კითხვაზე, რატომ თამაშობს ამჟამად მხოლოდ და მხოლოდ კომპიუტერბთან, ფიშერი მითხრობს:

— კომპიუტერებთან თამაში უფრო სასიამოვნოა, თუნდაც იმიტომ, რომ წაგების შემთხვევაში ისინი არ შესჩივიან ჟურნალისტებს, თითქოს მე მათ ბიპნოზს ვუკეთებდე, ან უხილავ სხივებს ვვენდე.

— ამბობენ, რომ მე, ცოტა არ იყოს დაძაბული ვარ. რას იზამ. შეიძლება ეს ასეც იყოს. ყველა ადამიანი რამდენადმე დაძაბულია. უბრალოდ, ზოგი ახერხებს ამის დაფარვას, ზოგი კი ვერა.

პირდაპირი პასუხი

● კომუნისტურმა გამოვიდა დანიელი ოსტატის ერიკ ბრენდომის წიგნი „ბენტლარსენი — მებრძოლი“. ავტორი ამტკიცებს, რომ საბრძოლო, უკომპრომისო, მეტად თავისებური სტილი ლარსენს შემთხვევით არა აქვს. იგი დანიის ჩრდილოეთი ნაწილის — იუტლანდიის მკვიდრია. „იუტლანდიელები კი, — წერს ბრენდომი, — გაბედული, უშიშარი და მეტად პირდაპირი ხალხია. ისინი ყოველთვის გულანდილად საუბრობენ... შევიტყვებზე პირდაპირ პასუხს იძლევიან“.

ეს ამბავი ლარსენმა მყისვე დაამტკიცა. ბრენდომის შეგონებაზე, რა უშლის მას, რათა მსოფლიო ჩემპიონი გახდეს, განთქმულმა დიდოსტატმა ასე უპასუხა: „მხოლოდ ის, რომ მსოფლიოში სუთი-ექვსი მოჭადრაკე ჩემზე ძლიერად თამაშობს“.

ითმინა, ითმინა და...

● მიმდინარეობდა ბრაზილიის ჩემპიონატის გადამწყვეტი მატჩი „პალმეირასსა“ და „გუარანის“ შორის. მას შემდეგ რაც „გუარანიმ“ გოლი გაიტანა, „პალმეირასისა“ და ეროვნული ნაკრების მეკარე ლეაო ისე გაცეცხლდა, რომ ჭერ გოლის ავტორ კარაუს სცემა, შემდეგ მსაჯს, ბოლოს კი — წერისგის დამცველ პოლიციელს. სასამართლოში ლეაომ თავის გასამართლებლად განაცხადა:

— მსოფლიოს ჩემპიონატის დროს არგენტინაში მიხდებოდა ემოციების დაოკება. ვითმინე, ვითმინე და... ვეღარ მოვიტმინე. ახლა უკვე თავშეკავების უნარი აღარ გამაჩნია.

ეტყობა, მოსამართლეს ეს არგუმენტი დამაჭრებლად მოეჩვენა. ყოველ შემთხვევაში, იგი ლეაოსადმი შედარებით უმნიშვნელო ფულადი ჯარიმის გადახდევინებით დაკმაყოფილდა.

გარეკანის პირველ გვერდზე: წითელწყაროს რაიონის სოფ. ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი ნიკო ყოჩიაშვილი მწყემსებთან. თარხანარჩაძის ფოტო.

გადაცა ახაწყობად 10 I-79 ხელმოწერილია დასაბეჭდად 24 I-79 ქალაქის ზომა 10x1081/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5 ხაღრიცხვობაგამომცემლო თაბახი 4,9, ტირაჟი 52.000 შეკვ. 181 უფ. 00650 ფახი 30 კაპ.


Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი 380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42 ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილების გამგეების — 93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორის არ უბრუნდება.




კროსვორდი

თარაზულად: 7. შენობის კედელზე ამოკაწრული საყოფაცხოვრებო ხასიათის ძველი წარწერა ან ნახატი. 8. სხეულის ან ორგანოს დასუსტება. 9. წინაპარი, გვარის ფუძემდებელი. 10. დასახლებულ პუნქტში ან რაიონში განლაგებული ჯარის ნაწილები. 12. აქროლადი ნივთიერების კონცენტრირებული ხსნარი, 15. ქსოვილის ნაჭრის ამოკვეთა მიკროსკოპულად გამოკვლევის მიზნით. 17. ორგანიზმის სივრცეებსა და სადინარებში მომოქცეული სითხე. 18. საშენი მასალა. 19. გარეული თხა. 22. ბოსტნეული. 23. ფიცარზე ამოღებული გრძივი ლარი. 25. მეომარი ქვეყნის მიერ ნეიტრალური ქვეყნის ტრანსპორტის შეპყრობა საკუთარ ტერიტორიაზე. 27. წელიწადის დღეების აღრიცხვის სისტემა. 29. ქართული ფეხბურთელი. 31. საცხოვრებელი სახლის შიგნითა, დახურული ეზო ძველ რომში. 32. ტყინში სისხლის მიმოქცევის დარღვევა.

შვეულად: 1. ვერტიკალურად მოძრავი მანქანა. 2. ქიმიური ელემენტი. 3. რაიმე მოვლენისადმი უარყოფითი დამოკიდებულება. 4. გადამწყვეტი იერიში. 5. შეჯიბრების დაწყების მომენტი, 6. მნიშვნელობით ერთნაირი, ბგერითი შემადგენლობით კი განსხვავებული სიტყვა. 11. თვითმმართველობის მქონე ბრიტანეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი. 13. ჩანჩქერი ამერიკაში. 14. ინგლისის ძველი სახელწოდება. 15. ბრძოლა. 16. ღამის პეპელა. 20. იტალიელი კომპოზიტორი, ოპერა „რიზელდას“ ავტორი. 21. მაკაკის დაბალეულიანი ფეხსაცმელი. 24. ვერცხლის ფული ძველ საბერძნეთში. 26. რომის იმპერატორი. 28. საერთო ან სასულიერო ხელისუფალთა მოადგილე ახლო და შუა აღმოსავლეთის ზოგ ქვეყანაში. 30. სამხრეთ კორეის დედაქალაქი.


კროსვორდი შეადგინა მ. ქუარღოვანიძემ




გურამ დოლიძისა და იოსებ მელაშვილის ნახატები



სოფლისუბეძემ ფაკიარი





საქართველოს
საზღვაო
ინჟინერული
სამსახური



თ. ა. ხანაძის ფოტო

ფოტო ნავსადგური.